



თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
Tbilisi Humanitarian University

VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური
კონფერენციის მასალების კრებული

VI International Scientific-Practical Interdisciplinary
Conference Proceedings

5-6 დეკემბერი, 2025
December 5-6, 2025

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი
Conference Organizing Committee

1. Prof. Dr. **Valentina Sakvarelidze** - Rector Tbilisi Humanitarian University;
2. Assoc. Prof. Dr. **Maia Meladze** – Grigol Robakidze University; Senior specialist of the research and development center at the Tbilisi Humanitarian University;
3. Prof., Dr. **Kakhi Kurashvili** – Vice-Rector Tbilisi Humanitarian University,
4. Prof., Dr. **Medea Chelidze** – Vice-Rector Tbilisi Humanitarian University
5. Prof., Dr. **Lia Chighlashvili** – Tbilisi Humanitarian University;
6. Prof., Dr. **Ilona Sakvarelidze** – Tbilisi Humanitarian University;
7. Prof., Dr. **Nona Gelitashvili** – Tbilisi Humanitarian University;
8. Prof., Dr. **Irine Arjevanidze** – Tbilisi Humanitarian University;
9. Prof., Dr. **Nino Abaishvili** – Tbilisi Humanitarian University;
10. Assoc. Prof., Dr. **Giorgi Kharshialdze** - Tbilisi Humanitarian University;
11. Lecturer PhD **Andra Puran**, University of Pitesti, Faculty of Economic Sciences and Law,
Department of Law and Public Administration, Romania
12. Lecturer PhD **Ramona Duminica**, University of Pitesti, Faculty of Economic Sciences and Law,
Department of Law and Public Administration, Romania

I სექცია

Section I

სტომატოლოგია, ფარმაცია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	6
Dentistry, Pharmacy and Natural Sciences	
Oral health status, mean of DMFT and oral hygiene in Elderly Population in Georgia before COVID 19 pandemic	6
Ilon Sakvarelidze , Professor, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia.	
Maia Beridze , Assistant professor, DMD, PhD, BAU International University Batumi,	
Tamar Lomidze , Assistant professor, DMD, PhD, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Dental department. Tbilisi, Georgia.	
Sopio Puturidze , Assistant professor, DMD, PhD, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Dental department. Tbilisi, Georgia.	
Tooth Developmental Abnormalities in Congenital Immunodeficiencies and Genetic Diseases	10
Mariam Sitchinava - Affiliated Assistant, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia	
Ilon Sakvarelidze – Professor, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia	
Nino Abaishvili – Professor, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia	
Maia bachiashvili - Affiliated Assistant, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia	
Modern Approaches to Shade Selection in Direct and Indirect Restorations of Anterior Teeth	13
Rusudan Devnozashvili - Professor Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia	
Nino Abaishvili - Professor, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia	
Khatuna koridze – Professor, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia	
Ekaterine Topuridze - Associate Professor, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia	
Mariam Gogiberidze - Affiliated Assistant, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia	
Specifics of Teaching Medical ethics and law in Dentistry and Pharmacy	15
Ekaterine Sanikidze - Visiting Lecturer at THU, MD, PhD, Associate Professor at TSMU	
Use of Fluoride Drops in Pediatrics	17
Nana Jincharadze Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia	
The Importance of Superficial Lymph Nodes in Cattle in the Diagnosis of Infectious Diseases	20
Maia Kereselidze - European University Ltd	
Nino Milashvili - Samtskhe-Javakheti State University	
Nunu Omarashvili - Zugdidi Shota Meskhia State University	
Shota Nebieridze - European University Ltd	
II სექცია	
Section II	
ეკონომიკა, ბიზნესი და ტურიზმი	22
Economy, Business and Tourism	
Migration Intentions of Georgian Graduate Students	22
Ana Gvaramadze -Tbilisi Humanitarian University, Associate Professor	
The Influence of Dominant Cultural Values on the Management Process	24
David Nizharadze - PhD Associate Professor, Black Sea International University	
Smart Cities and Digital Transformation: IoT Integration Model in Georgia	28
Giorgi Kharshiladze - Doctor of Economics, Affiliated Associate Professor, Tbilisi Humanitarian University	
The Impact of Artificial Intelligence (AI) on Business Field	29
Asmat Shamugia - Associate Professor, New Higher Education Institute - Newuni	
Transport Infrastructure and Regional Economic Development	32
Iago Beridze - Doctor of Business Administration, Assistant, Batumi University of Navigation	

Sustainable Development of International Tourism	35
Manana Vasadze - Doctor of Economics, Professor, Tbilisi Humanitarian University	
Digital Capacity and Sustainability Practices in Georgian SMEs: Challenges and Emerging Opportunities	37
Nona Gelitashvili - Doctor of Economics, Professor, Tbilisi Humanitarian University	
Ensuring appropriate learning conditions for vulnerable groups at the Georgian Technical University	39
Noe Khozrevanidze , Professor, Georgian Technical University	
Tamar Koblianidze , Professor, Georgian Technical University	
Shorena Kupreishvili , associate Professor, Georgian Technical University	
Nino Mebonia , Associate Professor, Georgian Technical University	
Role of New Gastro Projects in the Sustainable Development of Georgian Tourism	41
Maia Meladze – Assoc. Prof. PhD, Grigol Robakidze University	
III სექცია	
Section III	
სამართალმცოდნეობა	42
Law	
Reformation of the World Trade Organization’s Dispute Settlement System and Institutional Challenges	42
David GEPERIDZE Doctor of Law, Professor at Gori State and Tbilisi Humanitarian University	
Division of Spouses' Property in the Event of a Marriage Contract	44
Lia Chighlashvili , Professor, Tbilisi Humanitarian University	
Legal aspects of the electoral system in constitutionally recognized forms of government of states	46
Manana Khvedelidze Doctor of Law, Affiliated Professor at Tbilisi Humanitarian Teaching University	
The Child Support Agreement as a Non-Contractual Obligation and Its Related Legal Aspects	48
Lela Nadibaidze Doctor of Law, Professor at Tbilisi Humanitarian University	
Leasing in the Civil-Law and Tax Context (A Comparative Legal Study)	51
Ia Kharazi , Associate Professor at Sokhumi State University,	
Nana Shonia Professor, Akaki Tsereteli State University	
The scope of restrictions on property rights in relation to public and private legal relations.	53
Tamar Chitoshvili Doctor of Law, Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University	
Tax and right	55
Archil Loria Doctor of Law, Professor at Tbilisi Humanitarian University	
Public order as a limiting standard for the process of recognition and enforcement of an arbitration award	60
Mariam Ghachava - Doctor of Law, Assistant Professor, Central European University	
Regulating the Use of Artificial Intelligence in Education: Implications for Human Rights	63
Andra Puran - The National University of Science and Technology Politehnica Bucharest, Faculty of Economic Sciences and Law	
The particularities of the ECHR jurisprudential construction on the right to a healthy environment	64
Duminiță Florina Ramona = The National University of Science and Technology Politehnica Bucharest, Pitești University Centre, Faculty of Economic Sciences and Law	
The Romanian justice system faces AI. Current reality and challenges	65
Andreea Tabacu National University of Science and Technology “POLITEHNICA” Bucharest Faculty of Economic Sciences and Law	
Freedom of Assembly as an Individual Right	66
Nika Dudashvili Affiliated Associate Professor at Tbilisi Humanitarian University	
IV სექცია	

Section IV	
ჰუმანიტარული მეცნიერებები, ფსიქოლოგია	68
Humanities and Psychology	
Multiple Perspectives on Linguistics	68
Ekaterine Maruashvili - Doctor of Philology, Affiliated Associated Professor Georgian State University of Sport	
The contribution of Persian-Tajik scientists of the Middle Ages to the history of stigmatization prevention	70
Tatyana Lipai – Candidate of sociological sciences, associate professor, professor of the Department of Management and Economics of Education of the Minsk City Institute for Education Development.	
Abdulkhay Komili – Doctor of Physical and Mathematical Sciences, professor, Academician of the International Academy of Higher Schools, director of the Research Institute for the History of Natural Science and Technology of Bokhtar State University named after Nosir Khusrav.	
Sayfiddin Davlatzoda – Doctor of Biological Sciences, professor, associate of the National Academy of Sciences of Tajikistan, professor of the Bokhtar State University named after Nosir Khusrav	
Reflective Writing as a Learning and Research Method	72
Kristine Tchokhonelidze - Associate Professor, Central University of Europe, Assistant Professor, Akaki Tsereteli State University	
Advancing Students’ Communicative Competencies Through the Digital Revolution	74
Ekaterine Vatsadze , Central University of Europe, PhD; Professor	
Psychological mechanisms of violence	76
Ekaterine Sulukhia - Tbilisi Humanitarian University	
Georgian Literary Language and Art	77
Irina Arjevanidze - Doctor of Philology, Tbilisi Humanitarian University	
Zurab Sanadiradze - Master of Philology, Tbilisi Apollon Kutateladze State Academy of Arts	

I სექცია

Section I

სტომატოლოგია, ფარმაცია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
Dentistry, Pharmacy and Natural Sciences

პირის ღრუს სტატუსი, კბა მნიშვნელობა და პირის ღრუს ჰიგიენა საქართველოს ხანდაზმულ მოსახლეობაში COVID 19 პანდემიამდე

ილონა საყვარელიძე, ასოცირებული პროფესორი, თბილისის
ჰუმანიტარული უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო.
ელ.ფოსტა: ilonasakvarelidze@mail.ru

მაია ბერიძე, ასისტენტ პროფესორი, BAU ბათუმის საერთაშორისო
უნივერსიტეტი, ელ.ფოსტა: dr.maiaberidze@gmail.com

თამარ ლომიძე ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი,
საქართველო. ელ.ფოსტა: tamar.lomidze@tsu.ge

სოფიო ფუთურიძე, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი,
საქართველო. ელ.ფოსტა: sophio.puturidze@tsu.ge

შესავალი

ხანდაზმული მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად იზრდება მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში. [6] [1] განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, პირის ღრუს დაავადებები უფრო მეტად გავრცელებულია იმ ხანდაზმულ მოსახლეობაში, რომელთაც აქვთ დაბალი შემოსავლები და ნაკლები ხელმისაწვდომობა სტომატოლოგიურ მომსახურებაზე. [5]

აღნიშნული დემოგრაფიული ცვლილება მნიშვნელოვანი გამოწვევაა სტომატოლოგებისათვის მთელს მსოფლიოში. ასაკობრივი ცვლილებები გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. [3] პირის ღრუს ჯანმრთელობა მიიჩნევა ადამიანის უფლებად, და არის აუცილებელი პირობა ზოგადი ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხისთვის. თუმცა, დადგენილია, რომ პირის ღრუს დამაკმაყოფილებელი მოვლა ხანდაზმული მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის შეუძლებელია, განსაკუთრებით ფუნქციურად დამოკიდებული და დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონეთათვის. მსოფლიოში, ხანდაზმული პოპულაციის პირის ღრუს ორი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა ედენტულიზმი და პაროდონტის დაავადებები. პრევენციული ღონისძიებები და ზოგადი ჯანმრთელობის ხელშეწყობი პროგრამები უნდა მოიცავდეს პირის ღრუს ჯანმრთელობის ხელშეწყობას და სტომატოლოგიური დაავადებების პრევენციას. ასევე, მნიშვნელოვანია რესურსების არსებობა, რათა შემცირდეს განსხვავება ღარიბი და მდიდარი პოპულაციის პირის ღრუს მკურნალობის შესაძლებლობებში. [7]

მიჩნეულია, რომ ხანდაზმულ პოპულაციას ესაჭიროება მეტი სტომატოლოგიური მომსახურება ახალგაზრდებთან შედარებით. პირის ღრუს მკურნალობის პროგრამების ინტეგრაცია ზოგადი ჯანმრთელობის მკურნალობის პროგრამებში არის უაღრესად მნიშვნელოვანი, რადგან არადამაკმაყოფილებელმა პირის ღრუს მდგომარეობამ შესაძლოა ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და შესაბამისად ხარჯების ზრდა გამოიწვიოს. [4]

ხანდაზმული პოპულაციის ეპიდემიოლოგიური მონაცემები აჩვენებს ედენტულიზმის გავრცელების განსხვავებას ქვეყნებს შორის, რაც ძირითადად განპირობებულია სტომატოლოგიური მკურნალობის ხელმისაწვდომობის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის

ფინანსური მხარდაჭერით და ასევე პირის ღრუს ჯანმრთელობაზე მიმართული პოლისების დანერგვით. [2]

კვლევის მიზანია საქართველოს ხანდაზმული მოსახლეობის კბა ინდექსის და პირის ღრუს ჰიგიენის დონის დადგენა.

მასალა და მეთოდები:

კვლევა ჩატარდა საქართველოში, მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად, COVID 19 პანდემიამდე. გამოკვლეული იქნა 65 წლის და მეტი ასაკის 843 ხანდაზმული. გამოკვლეულები დაიყო სამ ასაკობრივ ჯგუფად: 65-74, 75-84, 85 და მეტი. კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. პირის ღრუს გამოკვლევა ჩატარდა ბუნებრივი განათების პირობებში სტომატოლოგიური სარკის, ზონდისა და პინცეტის გამოყენებით. სპეციალური კითხვარი შეივსო მონაწილეთა დამოკიდებულების შესაფასებლად პირის ღრუს ჰიგიენურ მოვლასთან დაკავშირებით. პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობა შეფასდა გრინ-ვერმილიონისა და ერიკ ამბორსმენის მიხედვით. კვლევას მინიჭებული აქვს ბიოეთიკური კომისიის დასკვნა (#2017-039) დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ. სტატისტიკური ანალიზი შესრულდა SPSS ვერსია 22-ის გამოყენებით.

შედეგები და დისკუსია:

შეფასდა კბა (კარიესი, ბჟენი, ამოღებული) თითოეული კომპონენტი კვლევაში ჩართულ ყველა ასაკობრივ ჯგუფში. კბა მნიშვნელობის ზრდა აღინიშნა ასაკის მატებასთან ერთად. კბა მნიშვნელობამ შეადგინა 25.74, 28.39 და 30.91 ზემოთ აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად ($P < 0.0001$). (სურათი 1). ამოღებული კბილები წარმოადგენდა კბა განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს და აღინიშნა მისი ზრდა ასაკობრივი ჯგუფების ზრდის შესაბამისად. კბა კომპონენტების განაწილება ასაკობრივ ჯგუფებში დაფიქსირდა შემდეგნაირად: კარიესი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 65-74 ასაკობრივ ჯგუფში; ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება კარიესის გავრცელება. ამოღებული კბილების რაოდენობა იზრდება მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში. ბჟენის გავრცელება იკლებს მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში, ხოლო 85 წლის და უფრო მეტი ასაკის გამოკვლეულ პირებში ბჟენის არსებობა არ გამოვლენილა. სქესის მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირდა (ცხრილი 1).

პირის ღრუს ჰიგიენა შეფასდა ხანდაზმულებში, რომელთაც აღნიშნებოდათ მთლიანი ედენტულიზმი, ჯანმრთელი ან დაავადებული პაროდონტი:

მთლიანი ედენტულიზმი: კარგი - 17.4%, დამაკმაყოფილებელი - 43.3%, არადამაკმაყოფილებელი - 16.3%, ცუდი - 23%.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ედენტულიზმი წარმოადგენს დიდ პრობლემას საქართველოს ხანდაზმულ მოსახლეობაში. კვლევაში ჩართულ ყველა მონაწილეს აღინიშნა ნაწილობრივი ან მთლიანი ედენტულიზმი. გარდა ამისა, მონაწილეთა უმეტესობას არ ქონდა ჩატარებული შესაბამისი ორთოპედიული მკურნალობა, ეკონომიკური მდგომარეობის გამო. კარიესის და პაროდონტის დაავადებების გავრცელების პრევენციამ, ასევე პირის ღრუს სრულფასოვანმა ჰიგიენამ შესაძლებელია შეამციროს ედენტულიზმის გავრცელება ხანდაზმულ მოსახლეობაში.

დასკვნა: კბა ინდექსის მნიშვნელობა იზრდება ასაკის ზრდის პროპორციულად და ამოღებული კბილები არის ძირითადი კომპონენტი. ჩვენი კვლევის შედეგები ნათლად ასახავს, რომ დაბალი ეკონომიკური სტატუსი წარმოადგენს ძირითად ბარიერს სტომატოლოგიური მკურნალობის მისაღებად დაბალი სოციალ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ხანდაზმულებში. დამატებითი კვლევები უნდა ჩატარდეს, რათა დადგინდეს განსხვავება COVID 19 პანდემიამდე და შემდეგ. აუცილებელია სპეციალური პროგრამების შემუშავება, რათა გაიზარდოს

ხანდაზმული მოსახლეობის ცნობიერება პირის ღრუს ჰიგიენური მოვლის აუცილებლობის და პირის ღრუს ჯანმრთელობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: გეროდონტოლოგია, პირის ღრუს ჯანმრთელობა, კბა, პირის ღრუს ჰიგიენა.

Oral health status, mean of DMFT and oral hygiene in Elderly Population in Georgia before COVID 19 pandemic

Ilon Sakvarelidze, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia. E-mail: ilonasakvarelidze@mail.ru

Maia Beridze, Assistant professor, DMD, PhD, BAU International University Batumi, dr.maiaberidze@gmail.com

Tamar Lomidze, Assistant professor, DMD, PhD, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Dental department. Tbilisi, Georgia. E-mail: tamar.lomidze@tsu.ge

Sopio Puturidze, Assistant professor, DMD, PhD, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Dental department. Tbilisi, Georgia. E-mail: sophio.puturidze@tsu.ge

Introduction

The proportion of elderly population is significantly increasing worldwide and it is also observed to be increasing in Georgia. [6] [1] In both, developing and developed countries, oral diseases are burdened mostly among those older people who have low income and less ability to get oral health care. [5]

This demographic shift provides significant challenges for health authorities worldwide. Age-related changes impacts all systems of human body. [3] Oral health is considered as a human right and is crucial for general health and quality of life. However, it is assumed that sufficient oral health care is not available for majority of older adults, particularly for defended ones, elderly people with low social-economical status. Two most prevalent problem of oral condition of elderly population are edentulism and periodontal diseases all over the world. Primary health care and general health promotion programs should include promotion of oral health and prevention of dental diseases. Also, several resources and policies are required in order to reduce the gap in the field of dental care between the poor and rich. [7]

Older adults are considered to require more oral health care services than previous generations. Integration of oral health services with general healthcare services is considered to be an essential factor as poor oral health may result in worsening general health and increased costs of health care. [4]

Epidemiological data on geriatric population shows variety in the degree of edentulous among countries, particularly, due to differences in the utilization of dental services, public financial support, also implementation of oral health policies. [2]

The aim of the study was to assess oral health status in the elderly population in Georgia.

Materials and methods:

The study was conducted based on World Health Organization recommendations in all 9 regions of Georgia and the capital, Tbilisi, before COVID 19 pandemic. 843 older adults (aged 65 years and more) representing the Georgian population were examined; they were divided into three age groups: 65-74, 75-84, 85 and more years. Participation in this study was voluntary. The oral health status of participants was assessed by dentist and assistant, under natural light using disposable dental mirrors, dental explorer probe and dental tweezers. Special questionnaire was filled in order to assess attitude of participants to their oral hygiene. We made an assumption on oral hygiene, according to Greene-Vermilion and Eirik Ambjørnsen. The study got the approval from the bioethics council of the National Center for Disease Control and Public Health (Georgia). The approval number is #2017-039. All statistical analyses were performed using SPSS version 22.

Results and discussion:

We assessed DMFT (decayed, missing, filled teeth) and all components of DMFT index in all age groups. Mean of DMFT was increasing in older age groups. We assumed DMFT to be 25.74, 28.39 and 30.91 in the age groups as mentioned above ($P < 0.0001$). (Figure 1). Missing teeth were the main factor of the DMFT index and it was increasing in older age groups. All components of DMFT index were assumed in all age groups as the following: Decayed tooth seems to be the highest in the age group of 65-74; it decreases due to the increase of the age. Number of missing teeth increases in higher age groups. Filling teeth decreases in higher age groups and there are no filling teeth in participants aged 85 years and older. No significant difference due to gender was observed. (Table 1).

Oral hygiene status was assumed in older people with full Edentulism, healthy and unhealthy periodontal tissue:

Full edentulous: good oral hygiene - 17.4%, satisfactory oral hygiene - 43.3%, unsatisfactory oral hygiene - 16.3%, poor oral hygiene - 23%.

Our study results demonstrate edentulism to be an urgent problem in Georgian elderly population. All of the investigated older adults had partial or full edentulism. Besides most of them did not have proper prosthetic treatment due to economic problems. Prevention of caries, periodontal diseases and proper hygiene may decrease the prevalence of edentulism in the elderly population.

Conclusion:

DMFT index increases due to the age proportionally and the missing teeth are the main factor. The results of our study clearly underlines that low economic status is the main barrier for an oral treatment for the majority of these neglected population. Further studies should be conducted in order to assess difference after COVID 19 pandemic. Implementation of special programs are essential in order to increase knowledge of elderly population about importance of oral hygiene and oral health.

Keywords: Gerodontology, Oral health, DMFT, oral hygiene.

References:

1. GEOSTAT 'National Statistics Office of Georgia'. Available at: <http://www.geostat.ge/>.
2. Gil-Montoya, J. A. *et al.* 'Oral health in the elderly patient and its impact on general well-being: A nonsystematic review' *Clinical Interventions in Aging*, 10, pp. 461–467. doi: 10.2147/CIA.S54630.
3. Miyazaki, H., Jones, J. A. and Beltrán-Aguilar, E. D. 'Surveillance and monitoring of oral health in elderly people' *International Dental Journal*, 67, pp. 34–41. doi: 10.1111/idj.12348.
4. Myers-Wright, N. and Lamster, I. B. 'A New Practice Approach for Oral Health Professionals' *Journal of Evidence Based Dental Practice*. Elsevier, 16(June), pp. 43–51. doi: 10.1016/j.jebdp.2016.01.027.
5. Petersen, P. E. and Ogawa, H. 'Promoting Oral Health and Quality of Life of Older People - The Need for Public Health Action' *Oral Health & Preventive Dentistry*, 16(2), pp. 113–124. doi: 10.3290/j.ohpd.a40309.
6. van der Putten, G. J. *et al.* 'Poor oral health, a potential new geriatric syndrome' *Gerodontology*, 31, pp. 17–24. doi: 10.1111/ger.12086.
7. Insights into geriatric burning mouth.
Suga T, Tu TTH, Toyofuku A.Br Dent J. 2025 Jun;238(12):907. doi: 10.1038/s41415-025-8901-2. Epub 2025 Jun 27.PMID: 40579494

კბილების განვითარების ანომალიები თანდაყოლილი იმუნოდეფიციტებისა და გენეტიკური დაავადებების დროს

მარიამ სიჭინავა - აფილირებული ასისტენტი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
ილონა საყვარელიძე - პროფესორი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
ნინო აბაიშვილი - პროფესორი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
მაია ბაჩიაშვილი - აფილირებული ასისტენტი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

რა არის პირველადი იმუნოდეფიციტი? ორგანიზმში ჰომეოსტაზის მუდმივობის შენარჩუნება იმუნური სისტემის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს. იმუნური სისტემის წარმატებული მოქმედება ბუნებრივი(თანდაყოლილი) და ადაპტაციური(შემენილი) იმუნური პასუხი შეთანხმებული მოქმედებით ხორციელდება.

იმუნური პასუხი სამ თანმიმდევრულ ფაზას გადის:

საწყისი ფაზა: მოიცავს პერიოდს ანტიგენის ორგანიზმში შეჭრიდან ლიმფოციტის სპეციფიკურ რეცეპტორებთან დაკავშირებამდე.

ცენტრალური ფაზა: ამ ფაზის საფუძველი სხვადასხვა სუბპოპულაციის ლიმფოციტებს შორის არსებული უჯრედული კოოპერაციაა

საბოლოო ფაზა: დიფერენცირებული B და T -უჯრედები მონაწილეობს. B - უჯრედების გააქტიურებით ანტისხეულები მიიღება.

იმუნურ პასუხი აგრესიული რეაქციაა, რომელის შედეგი ცოცხალი უჯრედის კვლაა. დაურეგულირებელ იმუნურ პასუხს ორგანიზმისთვის მძიმე შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ზოგჯერ ქსოვილი რაიმე გამოკვეთილი სტიმულის გარეშე ზიანდება. აუტოიმუნური და ატოპიური დაავადებები ქსოვილთა ასეთი დაზიანების მაგალითია აუტოიმუნური დაავადების შემთხვევაში ანტიგენი, რომელიც იმუნურ პასუხს აღძრავს საკუთარია, განადგურების მცდელობა საკუთარი ქსოვილის დაზიანებით მთავრდება.

აუტოიმუნური დაავადება სამი ფაქტორის გადაფარვის შედეგად ვითარდება: გენეტიკური განწყობა; გარემო ფაქტორი; იმუნური პასუხის რეგულაცია.

განსხვავებენ პირველად და მეორეულ იმუნოდეფიციტებს: პირველადი იმუნოდეფიციტი გენეტიკური დარღვევებითაა გამოწვეული. მეორეული იმუნოდეფიციტი კი გარეგანი ფაქტორების (მაგალითად, ქიმიოთერაპიისას გამოსაყენებელი მედიკამენტების, აივ ინფექციის გამომწვევი ვირუსის) ზემოქმედებით ვითარდება.

პირველადი იმუნოდეფიციტი შესაძლოა გამოვლინდეს ნებისმიერ ასაკში, თუმცა უმეტესად ბავშვებთან იჩენს თავს. ისეთი ფორმებიც არსებობს (მაგალითად, ▪ სელექციური IgA-დეფიციტი, საერთო ვარიაბელური იმუნოდეფიციტი), რომლებიც ზრდასრულებთან დიაგნოსტირდება. მისი პროგნოზი კეთილსაიმედოა და ა. შ.

JMF-მა შეიმუშავა ათი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომელთა გამოვლენის შემთხვევაში პირველადი იმუნოდეფიციტი უნდა ვივარაუდოთ. ესენია: ბავშვებთან 4 ან მეტი ოტიტი 1 წლის განმავლობაში; 2 და მეტი სინუსიტი 1 წლის განმავლობაში ალერგიის გარეშე; ანტიბიოტიკების მიღება 2 თვეზე მეტხანს პრაქტიკულად უეფექტოდ; 2 ან მეტი პნევმონია 1 წლის განმავლობაში; წონაში ან ზრდაში ჩამორჩენა; კანის ან სხვა ორგანოს მორეციდივე აბსცესი; პერსისტირებადი სტომატიტი ან კანის სოკოვანი ინფექცია; ინფექციის ასალაგებლად ინტრავენური ანტიბიოტიკის

ხშირი საჭიროება; მძიმე ინფექციის, მათ შორის – სეპტიცემიის, 2 ან მეტი შემთხვევა; პირველადი იმუნოდეფიციტის ოჯახური ანამნეზი.

იკურნება თუ არა იმუნოდეფიციტი?

უპირველესად, ინფექციის პრევენციაზე ზრუნვაა მნიშვნელოვანი; ამისთვის საჭიროა ჰიგიენის ზედმიწევნით დაცვა (ხელების ხშირი დაბანა, კბილების სათანადოდ გამოხეხვა და სხვ.); სწორად კვება; სათანადო ფიზიკური დატვირთვა ძილის ჯანსაღი რეჟიმი; სტრესისთვის თავის არიდება.

იმუნოლოგიური საზოგადოებების საერთაშორისო კავშირის (IUIS) ექსპერტთა კომიტეტის ახალი კლასიფიკაციის საფუძველზე. (2019 წლიდან) ხაზი ესმევა სტომატოლოგის მნიშვნელოვან როლს, მულტიდისციპლინურ სამედიცინო გუნდთან მჭიდრო თანამშრომლობას.

www.uptodate.com საიტზე 2023 წლის მონაცემებით ვაწყდებით კბილებისა და პირის ღრუს გართულებებს იმუნოდეფიციტების დროს:

- დიჯორჯის სინდრომი
- ჰიპერიმუნოგლობულინ E სინდრომი (HIES)
- თანდაყოლილი დისკერატოზი (DC)
- შიმკეს სინდრომი
- ქერუბიზმი

გარდა აღნიშნული სინდრომებისა, კიდევ უამრავ სინდრომს განვიხილავთ, რომელიც თითოეული სტომატოლოგის სავარძელში შეიძლება აღმოჩნდეს და თუ როგორ უნდა ამოვიცნოთ, განხილული იქნება დეტალურად.

რაც შეეხება გენეტიკურ ფაქტორს: გამოკვლევებმა აჩვენა, რომ რამდენიმე ფაქტორი შეიძლება იყოს ჩართული კბილის აგენეზიაში. გენეტიკური; ეპიგენეტიკური; გარემო ფაქტორების ერთობლიობა;

არ არსებობს კბილის აგენეზის ერთი ეტიოლოგია.

ასევე განხილული იქნება, თუ რომელი გენების მუტაციები იწვევენ აგენეზს. რა უნდა გაითვალისწინოს სტომატოლოგმა და აგენეზის მსოფლიო სტატისტიკის მაჩვენებელი.

Tooth Developmental Abnormalities in Congenital Immunodeficiencies and Genetic Diseases

Mariam Sitchinava - Affiliated Assistant, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia

Ilon Sakvarelidze – Professor, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia

Nino Abaishvili – Professor, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia

Maia bachiashvili - Affiliated Assistant, Tbilisi Humanitarian University, Tbilisi, Georgia

What is Primary Immunodeficiency?

Maintaining homeostasis in the body is the main purpose of the immune system.

The successful functioning of the immune system is carried out by the coordinated action of the innate (innate) and adaptive (acquired) immune responses.

The immune response goes through three successive phases:

Initial phase: covers the period from the entry of an antigen into the body to its binding to specific lymphocyte receptors.

Central phase: the basis of this phase is the cellular cooperation between lymphocytes of different subpopulations; Final phase: Differentiated B and T cells participate.

By activating B cells, antibodies are produced.

The immune response is an aggressive reaction, the result of which is the destruction of living cells. An unregulated immune response can have serious consequences for the body. Sometimes tissue is damaged without any obvious stimulus. Autoimmune and atopic diseases are examples of such tissue damage. In the case of an autoimmune disease, the antigen that triggers the immune response is self, and the attempt to destroy it ends with damage to the body's own tissue. An autoimmune disease develops as a result of the interaction of three factors: genetic predisposition; environmental factors; regulation of the immune response. Primary and secondary immunodeficiencies are distinguished. Primary immunodeficiency is caused by genetic disorders. Secondary immunodeficiency develops under the influence of external factors (for example, chemotherapy drugs, the virus that causes HIV infection). Primary immunodeficiency can occur at any age, although it most often occurs in children. There are also forms (for example, ▪ selective IgA deficiency, common variable immunodeficiency) that are diagnosed in adults. Its prognosis is favorable, etc.

JMF has developed ten important criteria, in case of detection of which we should assume primary immunodeficiency. These are:

- in children* 4 or more otitis media within 1 year;
 - 2 or more sinusitis within 1 year without allergies;
 - Taking antibiotics for more than 2 months with practically no effect; *
 - 2 or more pneumonia within 1 year;
 - Weight or growth retardation;
 - Recurrent abscess of the skin or other organ;
 - Persistent stomatitis or fungal skin infection;
 - Frequent need for intravenous antibiotics to clear the infection;
 - 2 or more cases of severe infection, including septicemia;
 - Family history of primary immunodeficiency
- Is immunodeficiency curable?

First of all, it is important to take care of infection prevention; for this, it is necessary to strictly observe hygiene (frequent hand washing, brushing teeth, etc.); proper nutrition; appropriate physical activity a healthy sleep regimen; avoidance of stress.

Based on the new classification of the Expert Committee of the International Union of Immunological Societies (IUIS). (Since 2019) the important role of the dentist, close cooperation with the multidisciplinary medical team, is emphasized.

On the website www.uptodate.com, according to 2023 data, we encounter dental and oral complications in immunodeficiencies

- DiGeorge syndrome
- Hyperimmunoglobulin E syndrome (HIES)
- Dyskeratosis congenita (DC)
- Shimke syndrome
- Cherubism

In addition to the above syndromes, we will discuss many more syndromes that may appear in each dentist's chair, and how to recognize them will be discussed in detail.

As for the genetic factor:

Studies have shown that several factors may be involved in tooth agenesis. Genetic; epigenetic; a combination of environmental factors

There is no single etiology of tooth agenesis.

It will also be discussed which gene mutations cause agenesis. What should a dentist consider and the world statistics of agenesis?

ფრონტალური კბილების პირდაპირი და არაპირდაპირი რესტავრაციების განხორციელებისას ფერის შერჩევის თანამედროვე მიდგომები

რუსუდან დევნოზაშვილი, ხათუნა ქორიძე, ნინო აბაიშვილი, ეკატერინე თოფურიძე, მარიამ გოგიბერიძე თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორები

თანამედროვე ადამიანისთვის ესთეტიკური პრობლემები წამყვანია ყველა იმ პრობლემებს შორის, რომელიც ვითარდება კბილთა და მათი რკალთა დეფექტების დროს. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია დეტალური შეთანხმება პაციენტსა და ექიმს შორის კბილების ესთეტიკური თავისებურებების, განსაკუთრებით ფერის შესახებ. აუცილებელია სოციალურ-ეთნიკური მახასიათებლების გათვალისწინება და ამ მხრივ თანამედროვე ტენდენციების სიღრმისეული გააზრება. პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ კლინიკურ გარემოში სპექტროფოტომეტრების და კოლორიმეტრების გამოყენება, ფერის ზუსტი იდენტიფიკაციისთვის გარკვეულწილად აფერხებს ექიმის კლინიკურ აზროვნებას და იწვევს პაციენტის დაზნეულობას. პაციენტისთვის მნიშვნელოვანია მოსაზრება-შეფასება ესთეტიკურ და ფუნქციურ მაჩვენებლებზე. აგრეთვე მნიშვნელოვანია სოციალური მიმზიდველობა ანუ, როგორ აღიქმება ღიმილი და რესტავრაცია სხვების მხრიდან. ეს კომპონენტი ითვალისწინებს რეალურად პაციენტის სურვილებს. ფერთან დაკავშირებით არსებული მოთხოვნების პრაქტიკაში უფრო ზუსტი რეალიზაციისთვის და პაციენტის რეალურ სურვილსა და პრაქტიკულ შედეგს შორის კორელაციის სრულყოფის მიზნით, ჩვენთვის საინტერესო იყო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ბაზაზე შიდა საგრანტო კვლევის განხორციელება. კვლევის “ფრონტალური კბილების პირდაპირი და არაპირდაპირი რესტავრაციების თანამედროვე მიდგომები და თავისებურებები“ შედეგებთან გაცნობით გამოიკვეთა საინტერესო ტენდენციები. კვლევა მიმდინარეობს 3 ჯგუფად. პაციენტების უმეტესობამ 94% კბილის ფერის დეფექტი და შესაბამისად ფერის ცვლილება დაასახელა პრიორიტეტად, ხოლო 92% კბილის ფორმის დეფექტი და 50% კბილთა დგომის დეფექტი დაასახელა. I და II ჯგუფში (თავის კბილებზე უფრო ღია ფერის კბილებით აღდგენა) მათი სურვილის გათვალისწინებით პაციენტების 60% განთავსდა, აქიდან არაპირდაპირი რესტავრაციით 52,4 % და პირდაპირი რესტავრაციით 47,6% მდე პაციენტი. III ჯგუფში(ზუსტად თავიანთი კბილების ფერით აღდგენა) 40% განთავსდა, აქიდან არაპირდაპირი რესტავრაციით 6,9 % და პირდაპირი რესტავრაციით 93,1% მდე პაციენტი. ასაკობრივად I და II ჯგუფი უფრო მეტად მოითხოვა 25-60+ ასაკის პაციენტებმა. III ჯგუფში(ზუსტად თავიანთი კბილების ფერით აღდგენა) კი 15-25 წლის პაციენტების 86% მოითხოვა. კვლევაში 80% მდებდრობითი და 20% მამრობითი სქესის წარმამოდგენელი იყო რაც მეტყველებს ქალების უფრო მაღალი ინტერესის შესახებ ესთეტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ასაკობრივი თვალსაზრისით პაციენტების უმეტესობა 72% 25-60 წლამდე ასაკის იყო. პაციენტების 60% -მა მოითხოვა II ჯგუფი, ამასთან ასაკობრივად 46 -60 + ასაკის პაციენტების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა. საშუალო და მაღალი ასაკის ადამიანების უმეტესობის მოთხოვნა იყო, ვესტიბულური მიდამოს მოცულობითი რესტავრაცია თავიანთი ბუნებრივი ფერთან შედარებით უფრო ღია ფერით ზემოთ აღნიშნული მეტყველებს, რომ შედარებით დაბალი ასაკის პაციენტები ნაკლებად ითხოვენ ფერის მკვეთრ ცვლილებას, მაშინ როდესაც 46-60+ წელზე ზევით არცერთი სქესის წარმომადგენელი არ ითხოვდა თავისი ბუნებრივი კბილის ფერის შენარჩუნებას. მსოფლიო მოდის ტენდენციები და ყველა ასაკის პაციენტის კონტაქტის გაზრდამ ტექნოლოგიებთან მნიშვნელოვნად შეცვალა ფერის ესთეტიკური მაჩვენებლების მიმართ დამოკიდებულება, რაც მკვეთრად აისახა ჩვენი ეთნიკური მოსახლეობის მიერ უფრო ღია ფერის რესტავრაციების მოთხოვნასთან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ უფრო ხარისხიანი და დროში შეუზღუდავი ნამუშევრების მიღება,

რომელიც განაპირობებს პაციენტის მაღალ ესთეტიკურ კმაყოფილებას სამომავლოდ დაკავშირებულია თანამედროვე ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის რაციონალურ გამოყენებასთან.

საკვანძო სიტყვები: კბილის ფერი, პირდაპირი რესტავრაცია, არაპირდაპირი რესტავრაცია, სპექტროფოტომეტრი, კოლორიმეტრი

Modern Approaches to Color Selection in Direct and Indirect Restorations of Anterior Teeth

Affiliated Professors Tbilisi, Humanitarian University:
Rusudan Devnozashvili, Khatuna Khoridze,
Nino Abaishvili, Eka Topuridze, Mariam Gogiberidze

For the modern human aesthetic problems are on the forefront between the problems, which arise during teeth and arch defects. An essential factor in this process is the detailed communication between the patient and the clinician regarding the aesthetic characteristics of the teeth, particularly their color. It is necessary to keep in mind socio-economic attributes and to deeply analyze modern tendencies. Clinical experience has demonstrated that, in practice, the use of spectrophotometers and colorimeters for precise shade identification may, to some extent, impede clinical reasoning and cause confusion for the patient. In order to more precisely realize the issues addressed to color and to close the gap between patient's actual wishes and practical results, It is important for the patient to have an opinion-assessment of aesthetic and functional indicators. Also important is social attractiveness, that is, how the smile and restoration are perceived by others. This component actually takes into account the patient's wishes. It was very interesting for us to conduct an internal grant-based research project on the basis of the Tbilisi Humanitarian University. The study, titled "*Modern Approaches and Characteristics of Direct and Indirect Restorations of Anterior Teeth,*" revealed several noteworthy trends. The study is organized into 3 groups. Most patients (94%) ranked tooth color defects and therefore color changes as a priority, while 92% ranked tooth shape defects and 50% ranked tooth position defects. In accordance with the patient's wishes, 60% of them were placed in the I and II group (restoration of the teeth whiter than they were originally) out of them 52.4% wanted indirect restoration, and 47.6%- direct. 40% were placed in Group III (restoration exactly to the color of their teeth), of which 6.9% received indirect restoration and 93.1% received direct restoration. Age-wise, being in the I and II groups was more requested by 20-60 year olds. The III group (restoring the teeth exactly as they were originally) was requested by 86% of 15-25 year olds. 80% of participants in the study were females while 20% of them were males, which indicates a higher interest in women in regards to improving their aesthetic. In regards to age, most patients, 72%, were between the ages of 25-60. The II group was requested by 60% of the patients, it also stood out with a high amount of patients ranging between the ages of 46-60+. The request of most middle-aged and elderly people was for a volumetric restoration of the vestibular area in a lighter color than their natural color. According to the information mentioned above, younger patients tend to request drastic color changes much less, while in the 46-60+ year old group no one requested keeping their natural teeth color. Global aesthetic trends and increasing exposure to digital technologies across all age groups have significantly influenced perceptions of acceptable color standards, which is reflected in the heightened demand for lighter-shaded restorations within our ethnic population. It is essential to recognize that achieving high-quality, long-lasting clinical outcomes and thereby ensuring sustained patient satisfaction depends increasingly on the rational integration of modern technologies and artificial intelligence.

Keywords: Tooth color, direct restoration, indirect restoration, spectrophotometer, colorimeter

სამედიცინო ეთიკისა და სამართლის სწავლების სპეციფიკა სტომატოლოგიასა და ფარმაციაში

ეკატერინე სანიკიძე მედ. აკად. დოქტორი,
თჰუ-ის მიწვეული პედაგოგი, თსსუ ასოც. პროფესორი

სამედიცინო სასწავლებლებში ბიოეთიკის/სამედიცინო ეთიკის სწავლების ფართო დანერგვა ბოლო 2 დეკადის მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. განსაკუთრებით, პოსტაბჭოთა და დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში, სადაც ჯანდაცვის სისტემები ნაკლებად აწყობილი და ძლიერია. თუმცა ყველგან, მათ შორის საქართველოში, რჩება ეთიკის სწავლების გარკვეული გამოწვევები სილაბუსებთან, სწავლების საფეხურებთან თუ დარგობრივ სპეციფიკებთან დაკავშირებით.

მიზანი და ამოცანები - 1. საქართველოში სამედიცინო ეთიკისა და სამართლის სილაბუსების შედარება სხვადასხვა ფაკულტეტისთვის; 2. სტომატოლოგიისა და ფარმაციაში სამედიცინო ეთიკა-სამართლის სწავლების სპეციფიკის დადგენა

მასალა და მეთოდები - იუნესკოს ძირითადი კურიკულუმი, 7 უნივერსიტეტის სხვადასხვა პროგრამების სილაბუსები სამედიცინო ეთიკასა და სამართალში, სტუდენტებისა (210) და პედაგოგების (13) გამოკითხვის შედეგები დამუშავდა შედარებითი ანალიზისა და მათემატიკური მოდელირების მეთოდებით

შედეგთა ანალიზი: 1. წინასწარ დადგენილი ინდიკატორების მიხედვით სილაბუსების შედარებამ და კითხვარების დამუშავებამ აჩვენა, რომ ყველა უნივერსიტეტში საგანი ძირითადად ისწავლება მეორე კურსზე, მოიცავს მსგავს თეორიულ და კერძო საკითხებს კლინიკური ეთიკიდან. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, ზოგად ნაწილში მეტი აქცენტია გაკეთებული ფილოსოფიური ეთიკის თემებზე (პრინციპიალიზმი და სხვა თეორიები, პრინციპები და წესები), ხოლო კერძო ნაწილში სიცოცხლის დაწყების, დასრულების, გენური ინჟინერიის, ტრანსპლანტაციის საკითხებზე (74%). ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორცაა ექიმთა ქცევის კატეგორიები (სამედიცინო შეცდომა, დაუდევრობა, დანაშაული, დამოუკიდებლობა), შვეიცარული ყველის მოდელი, ეთიკური კომიტეტების ტიპები, ეთიკური დილემის დელიბერაციის მეთოდები და სხვ., არცერთი განხილული სილაბუსი არ მოიცავდა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის და კვლევის ეთიკის თემებიც სილაბუსების მხოლოდ 26% ში შეგვხვდა. 2. ფარმაციის და სტომატოლოგიის პროგრამების სტუდენტების ძირითადად სამკურნალო პროგრამების სილაბუსები გამოიყენება, როცა მათი მიმართულებების შესაბამისი ეთიკური საკითხებია უფრო საჭიროც და საინტერესოც. მაგრამ სილაბუსების 75%-ში არ შედის თეორიაში და არც ქეისებია მორგებული მათ მომავალ პროფესიაზე. 3. გამოკითხულ სტუდენტთა 71% აღნიშნავს, რომ ქეისებზე დაფუძნებული სწავლება არის, თუმცა უჭირთ ქეისების გაგება და სწორად განხილვა კლინიკური საგნების არცოდნისა და მათთვის არაპროფილური დარგებიდან მოყვანილი ქეისების გამო. პედაგოგთა 55% აღნიშნავს, რომ მაინც ასწავლის და ეხება იმ თემებს, რომელიც სილაბუსში არ არის, ან მწირედ არის წარმოდგენილი, თუმცა, თემებისა და ლიტერატურის ცვლილებების/დამატების შეტანის წინადადებით უნივერსიტეტისთვის არ მიუმართავთ.

დასკვნა და რეკომენდაციები: 1. სამედიცინო ეთიკისა და სამართლის ამჟამინდელი სილაბუსები არ არის სრულყოფილი და საჭიროებს თანამედროვე აქტუალური თემების დამატებას, განსაკუთრებით ზოგად და კვლევის ეთიკის ნაწილში; 2. ფარმაციისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებისათვის აუცილებელია შესაბამისი მიმართულებების ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტების სწავლება თეორიაში და შესაბამისი ქეისების შერჩევა პრაქტიკულ ნაწილში; 3. დაბალ კურსებზე სასურველია სამედიცინო ეთიკა-სამართლის საფუძვლების

სწავლება, მაგრამ უფრო ღრმა ცოდნა-უნარების და დარგობრივი ეთიკისა და სამართლის სწავლება აუცილებელია მაღალ კურსებზე ან დოქტორანტურასა და რეზიდენტურაში. 4. აუცილებელია როგორც პრედიპლომური, ისე პოსდიპლომური სწავლების ეტაპის სტუდენტებისთვის წერთი დავალებების მიცემა მედიცინის სხვადასხვა მიმართულების ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტების შესახებ, შესაბამის კვლევებში, კონფერენციებსა და სემინარებში აქტიურად ჩართვა.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო ეთიკა, სამართალი, დარგობრივი სწავლება.

Specifics of Teaching Medical ethics and law in Dentistry and Pharmacy

**Ekaterine Sanikidze PhD, Visiting Lecturer at THU,
MD, Associate Professor at TSMU**

The widespread introduction of bioethics/medical ethics teaching in medical schools can be considered a significant achievement of the last 2 decades. Especially in post-Soviet and low & middle-income countries, where healthcare systems are less organized and strong. However, everywhere, including in Georgia, certain challenges in teaching ethics remain regarding syllabi, levels of study, or sectoral specifics.

Objectives: 1. Comparison of medical ethics & law syllabi for different faculties in Georgia; 2. Determining the specifics of teaching in dentistry and pharmacy

Methods: UNESCO Bioethics core curriculum, syllabi of various programs of 7 universities, the results of students' (210) and teachers' (13) surveys were processed using comparative analysis and mathematical modeling.

Results: 1. Comparison of syllabi according to pre-established indicators showed that in all universities the subject is mainly taught in the second year, includes similar theoretical and specific issues of clinical ethics. However, in most cases, in the general part, more emphasis is placed on philosophical ethics topics (various theories, principles & rules), and in the specific part - on the issues of the start and end of life, genetic engineering, transplantation (74%). Categories of physician behavior (medical error, negligence, crime, independence), the Swiss cheese model, types of ethical committees, methods of ethical case/dilemma deliberation, etc., were not included in any of the reviewed syllabuses. Topics of public health, research ethics were also found in only 26% of the syllabuses. 2. Students of pharmacy and dentistry programs mainly use the syllabuses of medical programs (MD), when ethical issues relevant to their directions are more necessary and interesting. However, 75% of the syllabuses do not include theory, nor are the cases tailored to their future profession. 3. 71% of the surveyed students note that case-based learning (CBL) is available, but they have difficulty understanding and correctly discussing cases due to their lack of knowledge of clinical subjects and cases from non-profile fields. 55% of teachers note that they still teach topics that are not in the syllabus or are poorly represented, however, they did not address the university with a proposal for changes/adding topics or new literary.

Conclusions: 1. The current syllabus of medical ethics and law is not complete and requires the addition of modern topical topics, especially in the general and research ethics sections; 2. For the faculties of pharmacy and dentistry, it is necessary to teach the ethical and legal aspects of the relevant directions in theory and select relevant cases in the practical part; 3. It is preferable to teach the basics of medical ethics and law in lower courses, but teaching deeper knowledge and skills and sectoral ethics and law is necessary in higher courses or in doctoral studies and residency. 4. It is necessary to give written assignments to both undergraduate and postgraduate students on the ethical & legal aspects of various areas of medicine, and to involve them in relevant research, conferences, seminars.

Keywords: Medical ethics, law, sectoral education

ფტორის გამოყენების ჩვენებები ბავშვთა ასაკში

ნანა ჯინჭარაძე, ასოც. პროფესორი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

შესავალი: ფტორი არის ბუნებრივი მინერალი, რომელსაც აქვს კარიესის განვითარების შეფერხების უნარი, ფტორის შემცველი წყლის მიღება ხელს უშლის პირის ღრუში არსებული ბაქტერიების მიერ კბილის დამაზიანებელი მჟავის წარმოქმნას, ფტორი ასევე აღადგენს კბილის მინანქარს, ხელს უწყობს კბილის სიმყარეს. ასეთია დღემდე არსებული ინფორმაცია ფტორის შესახებ. ფტორის ბუნებრივი წყარო არის სასმელი წყალი. ფტორის მაღალი დოზით ხანგრძლივად მიღება იწვევს ძვალ-სახსართა და ნერვული სისტემის დარღვევებს.

მეთოდი: თვისებრივი კვლევის მეთოდი, კაბინეტური კვლევა (“Desk Research”)

შედეგები: ამერიკის პედიატრთა აკადემია (AAP), დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი (CDC) და ამერიკის სტომატოლოგიური ასოციაცია (ADA) მხარს უჭერენ ფტორის როლს კარიესის შემცირებაში ბავშვებში. კვლევებმა აჩვენა, რომ წყლის ფტორირება დაახლოებით 25%-ით ამცირებს კბილების კარიესს ბავშვებში. AAP რეკომენდაციას უწევს ფტორირებული კბილის პასტის შესაბამისი რაოდენობის გამოყენებას, ფტორის ლაქის გამოყენებას მცირეწლოვანი ბავშვებისთვის.

აშშ-ში 1945 წელს დაიწყო წყლის ფტორირება კბილის კარიესის თავიდან ასაცილებლად, ფტორის შემცველი კბილის პასტა 1955 წელს იქნა შემოღებული.

1962 წელს განახლებული სტანდარტით წყალში ფტორის კონცენტრაცია უნდა ყოფილიყო 0.7 მგ/ლ-დან 1.2 მგ/ლ-მდე. 2001 წელს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა (CDC) გამოაქვეყნა ფტორის გამოყენების რეკომენდაციები კარიესის პრევენციისათვის. 2015 წლის რეკომენდაციით წყალში ფტორის ოპტიმალური კონცენტრაციის ნორმა შემცირდა.

ბოლოდროინდელი კვლევები მიუთითებს, რომ წყალმომარაგებაში ფტორის დამატების სარგებელი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ადრე მიიჩნევდნენ.

2025 წელს კოხრენის დამოუკიდებელი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების შემაჯამებელი ანალიზით აღმოჩნდა, რომ ონკანის წყალში ფტორის დამატებას მცირე სარგებელი აქვს ბავშვების სარძევე კბილების კარიესის პრევენციაში. კვლევებით დაადგინდა, რომ წყალში ფტორის შემცველობა საშუალოდ მხოლოდ 25% -ში იწვევს კარიესის შემცირებას. დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობამ, მათ შორის ავსტრიამ, ბელგიამ, დანიამ, ფინეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, ისლანდიამ, იტალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა, ნორვეგიამ, შვედეთმა და შვეიცარიამ, უარი თქვეს წყლის ფტორირებაზე.

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ფტორი არის სამრეწველო ნარჩენი, რომლებიც დაკავშირებულია ართრიტთან, ძვლების მოტეხილობებთან, ძვლის კიბოსთან, კოგნიტურ უნარების დაქვეითებასთან, ნეიროგანვითარების დარღვევებთან და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებთან. ექსპერტების აზრით, რადგან არსებობს ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები, საჭიროა კვლევების გაფართოება ფტორის ზემოქმედების გასაგებად - არა მხოლოდ მცირეწლოვან ბავშვებზე, არამედ ზოგადად მოსახლეობაზეც.

სურსათისა და წამლის ადმინისტრაციამ 2025 წლის 31 ოქტომბერს გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც შეიცავს გაფრთხილებას ორალურად მისაღები ფტორის დანამატების გამოყენების შეზღუდვის შესახებ 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის და კარიესის დაბალი ან საშუალო რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის. ფტორის დანამატები კვლავ რეკომენდებულია 3 წელზე უფროსი ასაკის კარიესის მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის, კარიესის მაღალი რისკის მქონე არის ის პირები, რომელთა სასმელ წყალში არის ფტორის დაბალი კონცენტრაცია, ანუ 0.7 მგ/ლ-ზე ნაკლები და რომლებსაც აქვთ აქტიური კარიესული დაზიანებები.

საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს ამერიკის პედიატრთა აკადემიას და კვლავ რეკომენდაციას უწევს დასაღვეი ფორმის ფტორის წვეთების გამოყენებას, როგორც უსაფრთხო და ეფექტურ პრევენციულ მეთოდს 6 თვიდან 16 წლის ასაკიდან , თუ სასმელი წყალი შეიცავს 0.3 მგ/ლ-ზე ნაკლებ ფტორს (დღიური დოზა: 0.25 მგ 6 თვიდან-3 წლამდე, 0.5 მგ 3-6 წლის ასაკში, 1.0 მგ 6-16 წლის ასაკში),

AAP რეკომენდაციას უწევს ასევე პირველი კბილის ამოსვლისას და 3 წლამდე დღეში ორჯერ ბრინჯის მარცვლის ზომის ფტორის შემცველი კბილის პასტის გამოყენებას, 3 წლიდან ბარდის ზომის ფტორის შემცველი კბილის პასტის გამოყენებას, ასევე წელიწადში 2-ჯერ კბილის მინანქარზე ფტორის ლაქის აპლიკაციის მეთოდის გამოყენებას .

დასკვნა: ამრიგად, ბოლო რეკომენდაციით, FDA-ის შეფასებითი დაასკვნით, ფტორის შემცველი შინაგანი გამოყენების (დასაღვეი) პრეპარატები უნდა შემოიფარგლოს სამი წლის და უფროსი ასაკის ბავშვებით, რომლებსაც კბილების კარიესის მაღალი რისკი აქვთ. ამასთან, ასაკობრივი შეზღუდვა ვრცელდება დასაღვეი ფორმის ფტორის დანამატზე და არ მოიცავს ფტორის შემცველი პასტის და/ან ფტორის ლაქის აპლიკაციის გამოყენების შეზღუდვას .

საკვანძო სიტყვები: ფტორი, კარიესი, სარძევე კბილი, ფტორირებული წყალი.

Indication use of the Fluoride in Childhood age

Nana Jincharadze

Ass. Professor of Tbilisi Humanitarian University

Introduction: Fluoride is a natural mineral that has the ability to delay the development of caries. The intake of water containing fluoride prevents the formation of tooth-damaging acid by bacteria in the mouth. Fluoride also restores tooth enamel, contributes to tooth strength. This is the information available to date about fluoride.

Methods: Methodological basis of this research is the qualitative research, method of cabinet research (“Desk Research”)

Results: A literature review of the last three years was conducted. The American Academy of Pediatrics (AAP), the Centers for Disease Control and Prevention (CDC), and the American Dental Association (ADA) support the role of fluoride in reducing dental caries in children. Studies have shown that water fluoridation reduces dental caries in children by approximately 25%. The AAP recommends the use of an appropriate amount of fluoridated toothpaste, and the use of fluoride varnish for young children. In the United States, water fluoridation began in 1945 to prevent dental caries, and fluoride toothpaste was introduced in 1955. In 1962, the standard was revised to 0.7 ppm to 1.2 ppm. In 2001, the Centers for Disease Control and Prevention (CDC) published recommendations for fluoride use to prevent dental caries. The 2015 recommendation lowered the optimal fluoride concentration in water. Recent studies indicate that the benefits of adding fluoride to water supplies are not as significant as previously thought. A 2025 review of scientific studies by the Cochrane Collaboration, an independent group, concluded that adding fluoride to tap water is of little benefit in preventing tooth decay in children. The studies found that adding fluoride to water reduced tooth decay by an average of only a quarter. Most Western European countries, including Austria, Belgium, Denmark, Finland, France, Germany, Iceland, Italy, Luxembourg, the Netherlands, Norway, Sweden, and Switzerland, have stopped fluoridating their water. Some researchers believe that fluoride is an industrial byproduct that has been linked to arthritis, bone fractures, bone cancer, reduced IQ, neurodevelopmental disorders, and thyroid disease. Experts say more research is needed to understand the effects of fluoride — not just on young children, but on the general population.

The Food and Drug Administration issued a report on October 31, 2025, warning against the use of oral fluoride supplements for children under 3 years of age and those at low to moderate risk

of tooth decay. Fluoride supplements are still recommended for children over 3 years of age at high risk of tooth decay, defined as those whose drinking water contains less than 0.7 mg/L of fluoride and who have active caries lesions. The American Academy of Pediatrics disagrees, and continues to recommend Use of oral fluoride as a safe and effective to prevent decay . The American Academy of Pediatrics recommends fluoride drops for children when their drinking water lacks sufficient fluoride (under 0.3 ppm), with dosages varying by age (e.g., 0.25 mg for 6 months-3 years, 0.5 mg for 3-6 years, 1.0 mg for 6-16 years). The AAP also recommends using a tiny smear -rice-grain size amount of fluoride toothpaste twice daily from the time the first tooth appears and up to age 3, and a pea-sized amount of fluoride toothpaste from ages three to six and fluoride varnish gel application.

Conclusion: Thus, the latest recommendation, based on the FDA's assessment, is that fluoride products should be limited to children ages 3 and older who are at high risk for dental caries. The restriction applies to oral fluoride supplements and does not include the use of fluoride toothpaste and fluoride varnish gel application on the tooth.

Keywords: fluoride, caries, baby teeth, fluoridated water.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ზედაპირული ლიმფური კვანძების როლი ინფექციური დაავადებების დიაგნოსტიკაში

მაია კერესელიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნინო მილაშვილი - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვეტერინარიის დოქტორი, პროფესორი

შოთა ნებიერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტი, ვეტერინარიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნუნუ ომარაშვილი - სსიპ ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვეტერინარიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ზედაპირული ლიმფური კვანძები მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური მარკერებია ინფექციური დაავადებების ადრეული აღმოჩენისა და მონიტორინგისთვის. ლიმფური სისტემა ფუნქციურად დაკავშირებულია როგორც თანდაყოლილ, ისე შეძენილ იმუნიტეტთან და წარმოადგენს პირველ ბარიერს პათოგენის შეღწევისას. ზედაპირული ლიმფური კვანძების ყბისქვეშა, ცურზედა და სხვ. პალპაცია, ვიზუალური შეფასება და მათი მდგომარეობის მონიტორინგი ხშირად იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ინფექციის ლოკალიზაციის, გენერალიზაციისა და ინტენსივობის შესახებ.

ინფექციური აგენტების, მათ შორის ბაქტერიების, ვირუსების და პარაზიტების მიერ გამოწვეული დაავადებების შემთხვევაში, ლიმფური კვანძები ადრეულ ეტაპზე განიცდის რეაქციებს, როგორცაა ჰიპერპლაზია, ანთეზა, შეშუპება და ტკივილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება კვანძების შეფასება ტუბერკულოზისა და ლისტერიოზის დიაგნოსტიკაში, სადაც ლოკალური ლიმფადენიტი ერთ-ერთი პირველი კლინიკური ნიშანია. გარდა ამისა, ზედაპირული კვანძები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეპიზოოტიური სურათის შეფასებაში, რადგან მათი ცვლილებები შეიძლება მიუთითებდეს ინფექციის გავრცელებაზე მთელ ფერმაში.

ლიმფური კვანძების კლინიკური შეფასება მიზანშეწონილია კომბინაციაში დამატებით მეთოდებთან, როგორცაა სეროლოგიური ტესტები, ბაქტერიოლოგიური და მოლეკულური კვლევები.

საკვანძო სიტყვები: ლიმფადენიტი, ინფექციური დაავადებები, ზედაპირული ლიმფური კვანძები.

The Role of Superficial Lymph Nodes of Cattle in the Diagnosis of Infectious Diseases

Maia Kereselidze – LLC European University, Doctor of Veterinary Sciences, Professor

Nino Milashvili – Samtskhe–Javakheti State University, Doctor of Veterinary Sciences, Professor

Shota Nebieridze – LLC European University, Doctor of Veterinary Sciences, Associate Professor

Nunu Omarashvili – Zugdidi Shota Meskhia State University, Doctor of Veterinary Sciences, Assistant Professor

Superficial lymph nodes in cattle serve as important diagnostic markers for the early detection and monitoring of infectious diseases. Functionally, the lymphatic system is linked to both innate and acquired immunity and acts as the first barrier upon pathogen entry. Palpation, visual assessment, and monitoring of superficial lymph nodes—such as the mandibular, supramammary, and others—often provide essential information regarding the localization, generalization, and intensity of infection.

In diseases caused by infectious agents, including bacteria, viruses, and parasites, lymph nodes undergo early-stage reactions such as hyperplasia, inflammation, swelling, and pain. Evaluation of these nodes is particularly important in the diagnosis of tuberculosis and listeriosis, where localized lymphadenitis is one of the earliest clinical signs. In addition, superficial lymph nodes play a significant role in assessing the epizootic situation, as their alterations may indicate the spread of infection throughout the herd.

Clinical assessment of lymph nodes is advisable to be combined with additional diagnostic methods, such as serological tests, bacteriological analysis, and molecular investigations.

Keywords: lymphadenitis, infectious diseases, superficial lymph nodes.

II სექცია

Section II

ეკონომიკა, ბიზნესი და ტურიზმი

Economy, Business and Tourism

კურსდამთავრებული ქართველი სტუდენტების საემიგრაციო მოტივები

ანა გვარამაძე თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი

ბოლო წლებში, საერთაშორისო განათლება გლობალური მიგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივატორი გახდა, რომელიც სტუდენტებს აკადემიურ, პროფესიულ და კულტურულ განვითარებაში ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. პატარა ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, სადაც სულ უფრო მეტი ახალგაზრდა სწავლობს საზღვარგარეთ, ეს ფენომენი მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს სტუდენტების სწავლის შემდგომი მიგრაციის განწყობებთან დაკავშირებით და მის გავლენას ქვეყნის განვითარებაზე. ამ კვლევის მიზანი იყო გამოერკვია, თუ როგორ ხედავენ ევროპასა და აშშ-ში სასწავლებლად მყოფი ქართველი სტუდენტები სწავლის დასრულების შემდგომ მომავალს: აპირებენ თუ არა საქართველოში დაბრუნებას, დარჩებიან თუ არა იმ ქვეყანაში, სადაც სწავლობენ, თუ სხვაგან გადავლენ საცხოვრებლად და რა მოტივაციები განსაზღვრავს ამ გადაწყვეტილებებს.

კვლევა იყენებს ქ-მეთოდოლოგიას (Q-methodology), როგორც მთავარ კვლევის მიდგომას, რადგან ის ეფექტურად აერთიანებს რაოდენობრივი მეთოდების სისტემურ სიზუსტესა და ხარისხობრივი კვლევის ინტერპრეტაციულ სიღრმეს. აღნიშნული მეთოდოლოგია განკუთვნილია სუბიექტურობის შესასწავლად და განსაკუთრებით გამოსადეგია ინდივიდებს შორის საერთო ხედვების გამოსავლენად, ვიდრე პოპულაციაზე გენერალიზაციისთვის. კვლევაში შეიქმნა 33 მტკიცებულება, რომლებიც ჩამოყალიბდა შესაბამისი ლიტერატურისა და წინასწარი დისკუსიების საფუძველზე საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ სტუდენტებთან. ეს განცხადებები მოიცავს მიგრაციის განწყობებზე გავლენის მომხდენ ეკონომიკურ შესაძლებლობებს, კულტურულ მიკუთვნებულობას, ინსტიტუციურ მხარდაჭერას, პირად ამბიციებსა და მშობლიური ქვეყნის განვითარების აღქმას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 20 ქართველმა სტუდენტმა, რომლებიც სწავლობენ ან ახლახან დაამთავრეს უნივერსიტეტები ევროპასა და აშშ-ში. თითოეულმა მონაწილემ გაანაწილა 33 მტკიცებულება განაწილების სქემაზე -4 (სრულად არეთანხმება) +4 (სრულად ეთანხმება), მათი პირადი შეხედულება სწავლის შემდგომი მიგრაციის შესახებ. დასრულებული Q-სორტები გაანალიზდა პიროვნებათა მიხედვით ფაქტორული ანალიზით ვარიმაქს როტაციის (varimax rotation) გამოყენებით, რაც საშუალებას იძლევა გამოიყოს საერთო ხედვების კლასტერები მონაწილეებს შორის. ინტერპრეტაციების გააზრებისა და სისწორის გასამდიერებლად, ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ფაქტორული ჯგუფის წარმომადგენლები.

ეს შერეული და ინტერპრეტაციული მიდგომა უზრუნველყოფს ნიუანსირებულ სურათს იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ ქართველი სტუდენტები თავიანთ მომავალს, პროფესიული წარმატების, პირადი თვითრეალიზაციისა და კულტურული იდენტობის მოთხოვნილებების გათვალისწინებით. კვლევის მიზანი არ არის შედეგების გენერალიზება ფართო სტუდენტურ პოპულაციაზე, არამედ კონკრეტული ჯგუფის ფარგლებში შეხედულებების დიაპაზონისა და თანმიმდევრულობის გამოვლენა. ძირითადი შეხედულებების გამოკვეთა ხელს უწყობს

სასწავლო მიგრაციის მოტივაციების უკეთ გაგებას და მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის პოლიტიკის შემქმნელებს ნიჭიერი კადრების გადინების, ტალანტების მიგრაციის და მდგრადი ეროვნული განვითარების საკითხების შესახებ საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო ტურიზმი, კურსდამთავრებულთა მიგრაცია, საერთაშორისო მობილობა

Migration Intentions of Georgian Graduate Students

Ana Gvaramadze, Tbilisi Humanitarian University, Associate Professor
Grigol Robakidze University, Doctor of Business Administration

In recent years, international education has become one of the most significant drivers of global migration, providing students with new opportunities for academic, professional, and cultural development. For smaller countries such as Georgia, where increasing numbers of young people pursue higher education abroad, this phenomenon has raised important questions about post-study migration intentions and their implications for national development. Aim of this study was to investigate how Georgian students studying in Europe and the United States perceive their post-graduation futures—whether they intend to return to Georgia, remain in their host country, or relocate elsewhere—and the underlying motivations guiding these choices.

The research adopts Q-methodology as its primary approach since it effectively combines the systematic precision of quantitative methods with the interpretive depth of qualitative inquiry. Designed to explore subjectivity, Q-methodology is particularly suited to identifying shared viewpoints among individuals rather than generalizing across a population. In this study, a concourse of 33 statements was developed based on relevant literature and preliminary discussions with Georgian students abroad. These statements encompass a wide range of factors influencing migration intentions, including economic opportunities, cultural belonging, institutional support, personal aspirations, and perceptions of home-country development.

Twenty Georgian students currently studying or recently graduated from universities in Europe and the United States participated in the study. Each participant was asked to sort the 33 statements on a distribution grid ranging from -4 (most disagree) to $+4$ (most agree), reflecting their personal viewpoint on post-study migration. The completed Q-sorts were then subjected to by-person factor analysis using varimax rotation, enabling the identification of clusters of shared perspectives among participants. To deepen understanding and enhance the validity of interpretations, follow-up semi-structured interviews were conducted with selected participants representing each factor group.

This mixed and interpretive approach provides a nuanced picture of how Georgian students conceptualize their futures, balancing aspirations for professional success, personal fulfillment, and cultural identity. The study does not aim to generalize findings to the broader student population; rather, it seeks to illuminate the range and coherence of viewpoints within this specific group. By revealing underlying viewpoints, the study contributes to a better understanding of the motivations shaping educational migration and offers valuable insights for policymakers seeking to address issues of intellectual emigration, talent mobility, and sustainable national development in Georgia.

Keywords: Educational tourism, Post-study migration, International mobility

დომინანტური კულტურული ღირებულებების გავლენა მენეჯმენტის პროცესზე

დავით ნიჟარაძე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

თანამედროვე ბიზნესში მართვის პროცესის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ კულტურულ ღირებულებებზე, რომლებიც დომინირებს კონკრეტულ საზოგადოებაში. როგორც წესი, ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული კულტურა ქმნის ზოგად ორგანიზაციულ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს კომუნიკაციის პროცესი, ლიდერობა, გადაწყვეტილებების მიღება და ჯგუფური დინამიკა. შესაბამისად, მენეჯმენტის პროცესის შესწავლისას დომინანტური კულტურული ფაქტორების იგნორირება, ფაქტობრივად შეუძლებელია.

გერტ ჰოფსტედის კულტურული განზომილებების მოდელზე დაყრდნობით ჩატარებული საერთაშორისო კვლევა (Hofstede Insights, 2023) მიუთითებს, რომ კულტურული განსხვავებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მენეჯმენტის სტილზე. აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე კომპანიებში ტენდენცია კონცენტრირებულია ძალაუფლებრივი დისტანციის დაბალ ხარისხზე კერძოდ, ორგანიზაციებში იზრდება თანამშრომელთა ჩართულობა და კომუნიკაცია, უფრო მეტად დეცენტრალიზებულია. გარდა ამისა, კვლევის შედეგებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ერთგვარ ბალანსს და იკვეთება, რომ დასავლეთის ქვეყნებში ლიდერობა, უმეტეს შემთხვევაში ინდივიდუალისტურია ხოლო, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში კოლექტიური მიდგომა, კვლავ აქტუალურ ტენდენციად რჩება.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გერტ ჰოფსტედის კულტურული განზომილებების პარადიგმის მიხედვით, შევადგინოთ, როგორ ზეგავლენას ახდენს დომინანტური კულტურული ღირებულებები მენეჯმენტის პროცესზე, ქართული კომპანიების კონტექსტში. კერძოდ, კვლევის საგანია შემდეგი:

1. რომელი კულტურული ღირებულებებია ყველაზე გამოხატული ქართულ ორგანიზაციებში.
2. როგორ გავლენას ახდენს დომინანტური კულტურული ღირებულებები მენეჯმენტის სტილზე, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებსა და გუნდის მუშაობის ეფექტიანობაზე.
3. რა ტენდენციები იკვეთება ახალი თაობის მენეჯერებში კულტურული ტრანსფორმაციის თვალსაზრისით.

კვლევის პროცესში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი და სიღრმისეული ინტერვიუები. კვლევის პროცესში გამოიკითხა ქართულ კომპანიებში დასაქმებული სხვადასხვა რგოლის მენეჯერი.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქართულ ორგანიზაციულ კულტურაში ძირითადად დომინირებს შემდეგი კულტურული განზომილებები:

1. ძალაუფლებრივი დისტანციის მაღალი დონე (გამოკითხულ მენეჯერთა 47%).
2. გაურკვევლობის თავიდან არიდება. (რესპონდენტთა 39%).
3. სიმამაცე (კვლევაში მონაწილეთა 10%).
4. ინდივიდუალიზმი (გამოკითხულთა 4%).

კვლევის მიხედვით, გამოიკვეთა, რომ ძალაუფლებრივი დისტანციის მაღალი დონე და კოლექტივიზმის გამოკვეთილი ტენდენცია, ხელს უწყობს ცენტრალიზებულ მართვის მექანიზმებს და გადაწყვეტილებების მიღების მკაცრად იერარქიული სტრუქტურების შენარჩუნებას. ამასთან, ქართველი მენეჯერების დიდი ნაწილის მხრიდან გაურკვევლობის თავიდან არიდება და ცვლილებებისდამი თავშეკავება მნიშვნელოვნად აფერხებს ორგანიზაციაში ინოვაციური იდეების გენერირებას.

მეორე მხრივ, ახალი თაობის მენეჯერებში (მენეჯერებს, რომლებიც ბოლო 5-10 წელში აიყვანეს ქართულ კომპანიებში) გამოვლინდა ინდივიდუალიზმისა და თანასწორობისაკენ მიმართული ღირებულებების ზრდა, რაც მიანიშნებს კულტურული ტრანსფორმაციის ტენდენციასა და უფრო ინკლუზიური (დეცენტრალიზებული) მართვის მოდელის ჩამოყალიბებაზე. ამ კუთხით, ლიდერთა შედარებით ახალ თაობაში შეინიშნება კულტურული ტრანსფორმაციის შემდეგი ტენდენციები:

1. იზრდება სწრაფვა ძალაუფლებრივი დისტანციის დაბალი დონისკენ.
2. ინკლუზიურობა და ჩართულობა ხდება მენეჯერთა მნიშვნელოვანი ღირებულება.
3. მენეჯერები უფრო გახსნილი არიან ინოვაციებისა და ციფრული ტრანსფორმაციის მიმართ.

წინამდებარე კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ქართულ კომპანიებში დომინანტური კულტურული ღირებულებები, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მენეჯმენტის პროცესზე. ჩვენს ქვეყანაში მოქმედი ორგანიზაციები ხშირად ინარჩუნებენ მკაცრად იერარქიულ სტრუქტურას, სადაც ხელმძღვანელის ავტორიტეტი გადამწყვეტია და გადაწყვეტილებების მიღება ხდება “ზემოდან ქვემოთ” პრინციპით. გამოკვეთილი კოლექტივიზმის ტრადიციული ელემენტები კი მცირედით აძლიერებს თანამშრომლობის მოტივაციას და გუნდურ მუშაობას თუმცა, ამავე დროს, მნიშვნელოვნად ზღუდავს ინდივიდუალურ ინიციატივებს.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ახალგაზრდა ქართველი მენეჯერები ცდილობენ უფრო მოქნილი და დემოკრატიული მართვის სტილის დანერგვას, რაც მომავალში ეტაპობრივად შეამცირებს ძალაუფლებრივი დისტანციის დონეს და ხელს შეუწყობს ინოვაციურობის ზრდას ქართულ ორგანიზაციებში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დომინანტური კულტურული ღირებულებები არა მხოლოდ მენეჯმენტის სტილს, არამედ გუნდურ დინამიკას, მოტივაციის სისტემებსა და რიგ შემთხვევაში კომუნიკაციის ფორმებსაც კი განსაზღვრავს. ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ისწრაფვიან ეფექტიანობისა და ინოვაციურობისკენ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია კულტურული ფაქტორების გათვალისწინება და მენეჯერების კულტურული მგრძობელობის განვითარება, რადგან მათი მხრიდან დომინანტური ღირებულებების სწორი გააზრება, წარმოადგენს სტრატეგიულ წინაპირობას მენეჯმენტის თანამედროვე, ადაპტური და მდგრადი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის.

საკვანძო სიტყვები: დომინანტური კულტურული ღირებულებები; მენეჯმენტის პროცესი; ორგანიზაციული კულტურა; ინდივიდუალიზმი; კულტურული ტრანსფორმაცია.

References:

1. Deresky, H. (2020). *International management: Managing across borders and cultures* (9th ed.). Pearson.Hill.
2. Hill C. W. L., & Hult, G. T. M. (2021). *International business: Competing in the global marketplace* (13th ed.). McGraw-Hill Education.
3. Hofstede Insights. (2023). *Country comparison*. Retrieved December 4, 2025, from <https://www.hofstede-insights.com/country-comparison>.
4. Hofstede, G., Hofstede, G. J., & Minkov, M. (2010). *Cultures and organizations: Software of the mind* (3rd ed.). McGraw-Hill.
5. Luthans, F., & Doh, J. P. (2021). *International management: Culture, strategy, and behavior* (11th ed.). McGraw-Hill Education.
6. Nizharadze, D. (2018). *A Multicultural Context of Human Resource Management, Economics* (12).
7. Nizharadze, D. (2019). *The Challenges of Staff Motivation in Multicultural Organizations, Economics* (10-12).
8. Schein, E. H. (2010). *Organizational culture and leadership* (4th ed.). Jossey-Bass.
9. Trompenaars, F., & Hampden-Turner, C. (2012). *Riding the waves of culture: Understanding diversity in global business* (3rd ed.). Nicholas Brealey Publishing.

The Influence of Dominant Cultural Values on the Management Process

David Nizharadze Associate Professor, Black Sea International University
PhD in Business Administration

In the contemporary business environment, the effectiveness of management processes is significantly influenced by the cultural values that dominate within a given society. Typically, a nation's culture establishes an organizational framework where communication, leadership, decision-making, and group dynamics operate. Therefore, ignoring dominant cultural factors when analysing management processes is practically impossible.

Based on Geert Hofstede's model of cultural dimensions, international research (Hofstede Insights, 2023) indicates that cultural differences have a profound impact on management styles. The findings reveal a global trend toward low power distance, increased employee engagement, and more decentralized communication structures. Moreover, a balance between individualism and collectivism is observed: leadership tends to be more individualistic in Western countries, whereas collectivist approaches remain prevalent in Asia and Latin America.

This study aims to assess how dominant cultural values influence management processes in Georgian companies through the lens of Hofstede's cultural dimensions paradigm. Specifically, the research focuses on identifying:

1. The most prominent cultural values in Georgian organizations.
2. The impact of dominant values on management style, decision-making mechanisms, and team performance.
3. The emerging trends of cultural transformation among a new generation of managers.

The study adopts quantitative research methods combined with in-depth interviews. Managers at different levels were interviewed for the study.

The results demonstrate that the dominant cultural dimensions in Georgian organizational culture are:

1. High level of power distance (47% of the managers surveyed).
2. Uncertainty avoidance (39% of the respondents).
3. Assertiveness (10% of the study participants).
4. Individualism (4% of the managers surveyed).

According to the study's findings, a high level of power distance and a pronounced tendency toward collectivism contribute to the reinforcement of centralized management mechanisms and the preservation of strictly hierarchical decision-making structures. Moreover, the tendency of many Georgian managers to avoid uncertainty and demonstrate resistance to change significantly hinders the generation of innovative ideas within organizations.

Conversely, among new-generation managers (those promoted in the past 5–10 years), values such as individualism, equality, and inclusiveness are increasingly evident, suggesting an ongoing cultural transformation toward a more participatory and decentralized management model. From this perspective, several tendencies of cultural transformation can be identified among the emerging generation of leaders in Georgia:

1. A growing inclination toward reduced power distance is observed.
2. Inclusiveness and employee participation are emerging as key managerial values.
3. Managers demonstrate greater openness to innovation and digital transformation initiatives.

The findings of the present study indicate that dominant cultural values in Georgian organizations exert a substantial influence on management processes. Companies operating in Georgia often retain a rigidly hierarchical structure, where the authority of the leader plays a decisive role, and decision-making typically follows a "top-down" approach. While traditional elements of collectivism

modestly enhance cooperation and team performance, they simultaneously impose significant constraints on individual initiative and autonomy.

Furthermore, the research demonstrates that younger Georgian managers are actively seeking to implement more flexible and democratic management styles. This generational shift is expected, over time, to diminish the degree of power distance and foster a more innovative organizational culture across Georgian enterprises.

In conclusion, it may be asserted that dominant cultural values shape not only managerial styles but also team dynamics, motivational systems, and, in certain cases, even patterns of communication. For organizations aspiring to greater efficiency and innovation, considering cultural factors and cultivating managers' cultural sensitivity are of critical importance. A nuanced understanding of dominant cultural values by managerial leaders constitutes a strategic prerequisite for the development of modern, adaptive, and sustainable management practices.

Keywords: Dominant cultural values; Management process; Organizational culture; Power distance; Individualism; Uncertainty avoidance; Cultural transformation.

სმარტქალაქები და ციფრული ტრანსფორმაცია: IoT-ის ინტეგრაციის მოდელი საქართველოში

გიორგი ხარშილაძე თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
ავილირებული ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

ციფრული ტრანსფორმაცია თანამედროვე ურბანული განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს პროცესად იქცა, რომელიც განსაზღვრავს ქალაქების მმართველობის, ინფრასტრუქტურისა და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის მომავალს. Internet of Things (IoT), როგორც ტექნოლოგიური ეკოსისტემა, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ და ციფრულ გარემოს, მნიშვნელოვანი საფუძველია სმარტქალაქების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. IoT-ის წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციის კომპონენტს, არამედ საზოგადოების, ეკონომიკისა და მმართველობის სისტემური გარდაქმნის განმაპირობებელ ფაქტორს. სტატიაში გაანალიზებული არის სმარტქალაქების ციფრული ტრანსფორმაციის არსი და IoT-ის ინტეგრაციის მოდელი საქართველოს კონტექსტში, წარმოდგენილია განხორციელების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც უკავშირდება მონაცემთა მმართველობას, სენსორულ ინფრასტრუქტურას, ენერგოეფექტურობასა და ურბანული სერვისების ინტეგრაციას. კვლევა ეფუძნება თანამედროვე და გლობალურ მიდგომებს და საქართველოს ციფრული განვითარების სტრატეგიულ ჩარჩოს, აგრეთვე დასახულია ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც აუცილებელია სმარტქალაქების მდგრადი ციფრული ტრანსფორმაციის უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: სმარტქალაქები, ციფრული ტრანსფორმაცია, IoT, ურბანული ინოვაცია, მონაცემთა მმართველობა, საქართველო.

Smart Cities and Digital Transformation: IoT Integration Model in Georgia

Giorgi Kharshiladze
Tbilisi Humanitarian University
Doctor of Economics
Affiliated Associate Professor

Digital transformation has become one of the core processes shaping modern urban development, redefining governance systems, infrastructure and citizen's quality of life. The Internet of Thing (IoT) as a technological ecosystem, connecting physical and digital environment, is a fundamental basis for the effective functioning of smart cities. The Internet of Things (IoT) represents not only a component of technological innovation, but also a driving factor behind the systemic transformation of society, the economy and governance. The article analyzes the essence of digital transformation and the IoT integration model withing the Georgian context, outlines the main directions of implementation related to data governance, sensor infrastructure, energy efficiency and the integration of urban services. The study is based on contemporary global approaches and Georgia's strategic framework for digital development, identifies the key priorities areas for ensuring the sustainable digital transformation of smart cities.

Keywords: Smart cities, digital transformation, IoT, Urban Innovation, Data Governance, Georgia

ხელოვნური ინტელექტის გავლენა ბიზნესის სფეროზე

ასმათ შამუგია, ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი
სასწავლებელი - ნიუნი აფილირებული ასოცირებული
პროფესორი ORCID 0009-0004-2899-3988

ყველას გვსმენია ეიასის შესახებ. მისი სარგებლიანობა, უკუჩვენებები და სხვა. მიმდინარე თეზისებში განხილულია ხელოვნური ინტელექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ასევე უნდა მივიღოთ თუ არა ეიაი ბიზნესსექტორში და რა შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას.

ეიაი ანუ ხელოვნური ინტელექტი, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ არის მეცნიერების დარგი, რომელიც ქმნის ისეთ ტექნოლოგიებს, რომელთაც შეუძლიათ მსჯელობა, სწავლა და უკვე მოქმედებაც კი ისევე, როგორც პიროვნებას. მისი ცოდნა მრავალჯერ აღემატება ადამიანისას და შეუძლია ამ ცოდნით მეტად აკურატული მოქმედების განხორციელება. აღნიშნულ ტექნოლოგიას გააჩნია გამოცდილებიდან სწავლის, ანალიზისა და დროის განმავლობაში საკუთარი ფუნქციების გაუმჯობესების უნარი.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური, ინტელექტი, ბიზნესი, სტრატეგიული, ჩარჩო.

ჩვენი კვლევის საგანია:

- ❖ როგორ შეიძლება AI-ის გამოყენება ბიზნესში ეფექტურად?
- ❖ რა საფრთხეებია დაკავშირებული AI-ის ინტეგრაციასთან?
- ❖ რა სტრატეგიებია საჭირო რისკების მართვისთვის?

წარმოგიდგინებ დუოლინგოს შედეგებს, რომელიც ფართოდ წარმოაჩენს ეიასის გავლენას ბიზნესის სფეროში. პლატფორმას 2025 წლის მონაცემებით ჰყავს 500 მილიონზე მეტი მომხმარებელი. 2025 წლის შიდა კვლევები კი ადასტურებს, რომ მომხმარებელთა პროგრესი ენის შესწავლაში 14%-ით არის გაზრდილი. ძლიერი მხარეებიდან გამოვარჩევდით მის ადაპტურობას, მხიარულ თამაშისმაგვარ გარემოს და გლობალურ ხელმისაწვდომობას, ხოლო ეს ყველაფერი ქმნის ეფექტურ გარემოს და აქტიურ აუდიტორიას.

ეიასის ძლიერი მხარეებია:

1. ეფექტურობა - ეიაი ერთ-ერთი უსწრაფესი ინფორმაციის წყაროა, რომელიც 2025 წელს არსებობს;
2. სიზუსტე - მას ინფორმაციის მოწოდება შეუძლია 100%-იანი სიზუსტით წყაროებიდან გამომდინარე. ჩვენც ეიასის აქტიური მომხმარებლები ვართ და ერთადერთი შეცდომა, რაც მისი გამოყენებისას შევნიშნეთ იყო გრამატიკული მცირე შეცდომები, რომლებიც არანაირ დაბრკოლებას არ ქმნიან;
3. პერსონალური სწავლა - ეიასის საშუალებით სწავლა აღარაა ერთგვაროვანი ყველასთვის. მისი ინდივიდუალური მიდგომა ზრდის ჩართულობას, შედეგებს და სწავლის ხარისხს;
4. რესურსების ხელმისაწვდომობა - ეიასის აქვს წვდომა ნებისმიერ გამოქვეყნებულ ნაშრომსა თუ კვლევაზე და მისი საშუალებით ამ ცოდნის რესურსის მოპოვება წამებშია შესაძლებელი.

ქვემოთ მოცემულია ეიასის რისკები და სუსტი მხარეები:

1. ინდივიდუალურობის დაკარგვა და ტექნოლოგიებზე დამოკიდებულება - იმის გათვალისწინებით, რომ ეიასის შეუძლია ნაკლებად რისკიანი და უკეთ არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღება, ადამიანები კარგავენ იმის სურვილს, რომ თავად მიიღონ გადაწყვეტილება, რაც საბოლოოდ, ამ უნარის დაკარგვამდე მიგვიყვანს და გამოიმუშავებს ტექნოლოგიაზე დამოკიდებულებას;
2. წინსვლის უნარის შეფერხება - ფაქტობრივად, ეიაი ადამიანს ფიქრის საშუალებას არ აძლევს და ეს აფერხებს წინსვლას;

3. სოციალური უთანასწორობა - ყველა ადამიანს არა აქვს საშუალება შეიძინოს ძვირადღირებული ტექნიკა, ამიტომ ისინი იყენებენ ეიასის შედარებით ბიუჯეტურ ვარიანტს, რომელსაც არ გააჩნია ყველა ის ფუნქცია, რაც ძვირადღირებულს.

ეიაი 2025 წელს მომავლის საგანი უკვე აღარაა, მეტიც ის დღესდღეობით ყველაზე მოთხოვნადი პროექტია არა მხოლოდ ბიზნესში, არამედ ყოველდღიურ საქმიანობაშიც. ეიაი ადამიანის განვითარებაში უდიდეს როლს შეიტანს, თუ მის სწორად გამოყენებას ვისწავლით. ამისათვის შეგვიძლია შევადგინოთ სტრატეგიული ჩარჩო, რაც საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ კრიტიკული და ინდივიდუალური აზროვნების უნარი, დავიცვათ მონაცემთა უსაფრთხოების და ეთიკის სტანდარტები, გამოვიყენოთ მიზნობრივად, უზრუნველყოთ ტექნოლოგიაზე თანაბარი წვდომა, დავინახოთ ეიაი, როგორც ინსტრუმენტი და არა ჩამნაცვლებელი, შესაბამისად, განვაახლოთ ბიზნესის სფერო კომპანიათა ტრადიციების დაცვით.

ამ რისკების გათვალისწინებით წარმოგიდგენთ სტრატეგიულ ჩარჩოს, რომელიც 4 ვარიანტს გვთავაზობს:

1. ეიასთვის ეროვნული შეზღუდვების დაწესება - აიკრძალოს ქვეყანაში ისეთი ფუნქცია, რომელიც ინფორმაციის მოწოდების ნაცვლად იმოქმედებს ჩვენს მაგივრად;
2. ადამიანური რესურსების ტრენინგ-პროგრამები ეიასის შესახებ - განხორციელდეს სპეციალური პროგრამები ორგანიზაციათა ადმინისტრაციებისთვის.

ბუნებრივია დაისმება კითხვა: „და რა გვიშლის ხელს ამ პროექტის განხორციელებაში?“

ამ კითხვაზე რამდენიმე პასუხი გვაქვს:

1. ეთიკური ჩარჩოს დაუცველობა - ყოველთვის იქნება ისეთი ადამიანი, ვინც წესებს დაარღვევს და არასათანადოდ ისარგებლებს ეიასის შესაძლებლობებით;
2. ხელმიუწვდომელობა - ყველა ადამიანს ვერ უზრუნველყოფთ იმ ტექნოლოგიებით, რომელსაც ეიასის მოხმარება შეუძლია;
3. ცვლილებებისთვის მზადყოფნა - საქართველოს კომპანიებში ტალანტების უმეტესი ნაწილი ხანდაზმულია და ისინი შეიძლება არ იყონ მზად დიდი ცვლილებებისათვის.

დასკვნა: ჩვენი აზრით, ეიასის უკვე საკმაო გავლენა აქვს ბიზნესის სფეროზე და ქმნის, როგორც უამრავ შესაძლებლობას, ისე სერიოზულ გამოწვევებს. ამიტომ საჭიროა, სტრატეგიულად სტრუქტურირებული ინტეგრაციის გეგმა, რომელიც მოერგება თითოეულ კომპანიას.

The Impact of Artificial Intelligence (AI) on Business Field

Asmat Shamugia, Academic Doctor of Economics
New Higher Education Institute – Newuni, Affiliated
Associate Professor **ORCID** 0009-0004-2899-3988

We have all heard about AI, its benefits, contraindications and more. Current theses discuss the positive and negative sides of Artificial Intelligence. We also discuss whether AI should be adopted in the business sector and what all this can lead to.

AI can be safely said to be a field of science that creates technologies that can reason, learn, and even act like a person. Its knowledge is many times greater than that of a person and can use this knowledge to perform more accurate actions. This technology has the ability to learn from experience, analyze and improve its functions over time.

Our research focuses are:

- ❖ How can AI be used effectively in business?
- ❖ What are the risks associated with AI integration?
- ❖ What strategies are needed to manage risks?

We present the results of “Duolingo”, which widely demonstrates the impact of AI in the business sphere. The platform has more than 500 million users as of 2025. Internal studies from 2025 confirm that users' progress in language learning has increased by 14%. Among its strengths, we would highlight its adaptability, fun game-like environment and global availability, all of which create an effective environment and an active audience.

The strengths of AI are:

1. Efficiency - AI is one of the fastest sources of information that exists in 2025;
2. Accuracy - it can provide information with 100% accuracy based on the sources. We are also active users of AI and the only error we noticed while using it were minor grammatical errors that do not create any obstacles;
3. Personalized learning - learning through AI is no longer the same for everyone. Its individual approach increases engagement, results and quality of learning;
4. Availability of resources - AI has access to any published work or research and through it, it is possible to obtain this knowledge resource in seconds.

There are following the risks and weaknesses of AI:

1. Loss of individuality and dependence on technology - given that AI can make less risky and better-reasoned decisions, people lose the desire to make decisions for themselves, which ultimately leads to the loss of this ability and creates dependence on technology;
2. Impairment of the ability to progress - in fact, AI does not allow a person to think and this hinders progress;
3. Social inequality - not all people can afford expensive equipment, so they use a relatively budget version of AI, which does not have all the functions that expensive ones have.

AI in 2025 is no longer a thing of the future, moreover, it is currently the most popular project not only in business, but also in everyday life. AI will play a huge role in human development if we learn to use it correctly. To do this, we can create a strategic framework that will allow us to maintain critical and individual thinking skills, adhere to data security and ethics standards, use it for its intended purpose, ensure equal access to technology, see AI as a tool and not a replacement and, accordingly, renew the business sphere while respecting the traditions of companies.

Taking these risks into account, we present a strategic framework that offers 4 options:

1. Establish national restrictions on AI - prohibit a function in the country that acts instead of providing information;
2. Human Resources training programs on AI - implement special programs for the administrations of organizations.

Naturally, the question will be asked: "And what prevents us from implementing this project?"

We have several answers to this question:

1. Insecurity of the ethical framework - there will always be someone who will break the rules and misuse the capabilities of AI;
2. Inaccessibility - not everyone can be provided with the technologies that AI can use;
3. Readiness for change - most of the talents in Georgian companies are older and may not be ready for big changes.

Conclusion: In our opinion, AI is already having a significant impact on the business field, creating both significant opportunities and significant challenges. Therefore, a strategically structured integration plan is needed that is tailored to each company.

Keywords: Artificial, Intelligence, Business, Strategic, Framework.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და რეგიონული ეკონომიკური განვითარება

იაგო ბერიძე, ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი, ბიზნესის და ლოგისტიკის ფაკულტეტის ასისტენტი, ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში, საქართველოს მდებარეობიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება პირდაპირ კავშირშია სატრანსპორტო სექტორების მოწყობასა და მისი რაციონალური გამოყენებასთან. საქართველოს აქვს თავისი გეოპოლიტიკურად სტრატეგიული მდგომარეობა, რაც შუა დერეფნის მიმართულებით მნიშვნელოვან მონაწილედ აქცევს. ეფექტურად გამართულ ინფრასტრუქტურას ნებისმიერი საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევაში მნიშვნელოვანი როლი აქვს, ვინაიდან მისი მიზანია შეამციროს ხარჯები, მაქსიმალურად მოხდეს დროის ეფექტიანად გამოყენება და კონკურენციის გაწევა დროსა და სივრცეში. საერთაშორისო გლობალურ კვლევით კომპანიებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის სახელმწიფოები რომლებიც ახდენენ სატრანსპორტო, საკომუნიკაციო სფეროში ინვესტირებას ერთნახევარზე მეტად უფრო ეფექტიანია ვიდრე ის სახელმწიფო ხარჯები, რომლებიც გაწეულია ნებისმიერ სხვა სფეროში. აუცილებელია განვმარტოთ რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანია სატელეკომუნიკაციო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გარეშე რთული იქნება, როგორც კონკურენციის გაწევა სხვა ქვეყნებისთვის ასევე ინვესტიციების მოზიდვისა და განხორციელებისთვის. საქართველოს სატრანსპორტო სისტემა მოიცავს ძირითად საავტომობილო ქსელს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი მაგისტრალის სახით, რკინიგზას, საერთაშორისო აეროპორტებს, საზღვაო პორტებსა და ტერმინალებს. უახლესი მონაცემების მიხედვით უკვე განხორციელდა ჩინეთიდან სარკინიგზო-სატვირთო გადაზიდვების განხორციელება, კერძოდ ჩინეთიდან მატარებელს საშუალოდ სჭირდება 9 დღე, ხოლო ალტერნატიული საზღვაო მარშრუტით 45 დღე, საქსტატის მონაცემებით რკინიგზით გადაზიდული ტვირთის რაოდენობამ ყველაზე მაღალ ნიშნულს 2022 წელს მიაღწია სადაც ტვირთბრუნვა 4 193 200 000 ტონას გაუტოლდა, შემდეგ წლებში კი შეინიშნება ტვირთბრუნვის კლება, საინტერესოა ის გარემოებაც რომ რკინიგზით ტვირთების შემოტანა გამომგზავნი ქვეყნების მიხედვით ჩინეთიდან და აზერბაიჯანიდან ყოველ წლიურად იზრდება, ხოლო კლება შეინიშნება ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან.

იგივე მდგომარეობა გვაქვს საჰაერო ტრანსპორტით გადატანილი ტვირთის და ტვირთბრუნვის შესახებ, სადაც 2022 წელს რეკორდული ციფრი დაფიქსირდა, საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადატანილ იქნა 667 ათასი ტონა ტვირთი, ხოლო ტვირთბრუნვის მოცულობამ 1 238 მლნ. ტონა-კილომეტრი შეადგინა, 2023 წელს შემცირდა და ტვირთი 224.2 ათასი ტონა შეადგინა, ხოლო 2024 წელს გაიზარდა და 269.6 ათასი ტონას მიაღწია, ყოველ წლიურად იზრდება მგზავრთა გადაყვანის რაოდენობა, 2024 წელს წინა წელთან შედარებით 1.8 ჯერ გაიზარდა და 644.5 ათას მგზავრს მიაღწია.

დადებითი დინამიკა გვაქვს საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთის მოცულობის მიმართულებით, სადაც 2024 წელს გადამუშავებული ტვირთის საერთო ჯამმა 15 562,3 ათასი ტონა შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 1.1 ჯერ არის გაზრდილი, დადებითი მაჩვენებელია საქართველოს პორტებში შემოსული გემების მიმართულებითაც, სადაც 2024 წელს ჯამში 1683 სხვადასხვა ტიპის გემი შემოვიდა, რაც წინა წელთან შედარებით 1.1-ჯერ მეტია. რაც შეეხება მგზავრთა ნაკადს საქართველოს ნავსადგურებსა და ტერმინალებში, ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა 2020 წელს 19.1 ათასი ადამიანი,

ხოლო შემდეგ დაიწყო შემცირება, 2024 წელს კი 2023 წელთან შედარებით 0.2-ით გაიზარდა და 7.9 ათას ადამიანს მიაღწია.

შეგვიძლიათ დაზუსტებით ვთქავთ რომ მიღწეულ შედეგებს სატრანსპორტო მიმართულებით დადებითი მაჩვენებელი აქვს, თუმცა აუცილებელია სრულად და დროულად დასრულდეს აღმოსავლეთ/დასავლეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი, რომელიც კიდევ უფრო შეამცირებს გადაადგილების დროს და გაზრდის გამტარუნარიანობას, რაც საბოლოო ჯამში შუა დერეფნის მიმზიდველობას და მაღალი კონკურენციის გაწევას შეუწყობს ხელს. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია რომ აღმოსავლეთის ქვეყნებთან აუცილებელია ვაჭრობის ზრდის პოტენციალის ძირეული შესწავლა, თანამშრომლობის გაზრდა და განვითარების გეგმის დასახვა, საინვესტიციო თანამშრომლობის გაძლიერება, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის სრულად დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება, შუა დერეფნის ძირითადი უპირატესობების გამოყენება და საერთაშორისო თანამშრომლობის დაინტერესების მიზნით ძირითადი ელემენტების წარმოჩენა როგორცაა ღირებულება, დრო და საიმედოობა. ამრიგად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულად მოდერნიზების და ახალი პერსპექტივების ათვისების შემთხვევაში, სრულად გაზრდის ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე და უზრუნველყოფს შუა დერეფნის დაინტერესებას მაღალი ინტენსივობით, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ეკონომიკის გაზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ასახვას.

საკვანძო სიტყვები: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ტვირთბრუნვა, სატვირთო გადაზიდვები, შუა დერეფანი, ტვირთის მოცულობა.

Transport Infrastructure and Regional Economic Development

Iago Beridze, Batumi University of Navigation, Assistant, Faculty of Business and Logistics, Doctor of Business Administration

In the context of ongoing globalization, Georgia’s economic development—stemming from the country’s geographical location—is directly associated with the establishment and rational utilization of its transport sectors. Georgia possesses a geopolitically strategic position, which renders it a significant participant along the Middle Corridor. Efficiently organized infrastructure plays an essential role in the delivery of goods and the provision of services, as its purpose is to reduce costs, ensure the effective use of time, and foster competitiveness across both time and space. Based on international global research companies, it can be stated that countries investing in the transport and communication sectors demonstrate more than one and a half times greater efficiency compared to expenditures made in any other area.

It is important to emphasize that alongside the development of transport infrastructure, the advancement of telecommunication and energy infrastructure is equally crucial. Without energy infrastructure, it would be difficult both to compete with other countries and to attract and implement investments. Georgia’s transport system encompasses the core road network in the form of the East–West connecting highway, railways, international airports, seaports, and terminals. According to the latest data, railway freight shipments from China have already been carried out. Specifically, a freight train from China requires, on average, 9 days, whereas the alternative maritime route takes 45 days. According to Geostat, the volume of freight transported by rail reached its highest point in 2022, amounting to 4,193,200,000 tons. In subsequent years, a decline in freight turnover has been observed. It is also noteworthy that rail freight imports from China and Azerbaijan increase annually, while decreases are recorded from Kazakhstan and Turkmenistan.

A similar trend is observed in air transport regarding freight volumes and freight turnover. In 2022, a record figure was registered: 667 thousand tons of cargo were transported by air in Georgia,

while freight turnover amounted to 1,238 million ton-kilometers. In 2023, the volume decreased to 224.2 thousand tons, whereas in 2024 it increased again, reaching 269.6 thousand tons. Passenger transportation also increases annually; in 2024, it rose 1.8 times compared to the previous year, reaching 644.5 thousand passengers.

Positive dynamics are also evident in the volume of cargo handled at Georgian seaports and terminals. In 2024, total processed cargo amounted to 15,562.3 thousand tons, an increase of 1.1 times compared to the previous year. A positive indicator is also observed in the number of ships entering Georgian ports: in 2024, a total of 1,683 vessels of various types arrived, representing an increase of 1.1 times compared to the previous year. As for passenger flows at Georgia's seaports and terminals, the highest number was recorded in 2020 at 19.1 thousand people, after which a decline began. In 2024, however, there was a 0.2 increase compared to 2023, with the total reaching 7.9 thousand passengers.

We can assert with certainty that the results achieved in the transport sector demonstrate positive performance; however, it is essential that the East–West connecting highway be fully and promptly completed. This will further reduce travel time and increase throughput capacity, ultimately contributing to the attractiveness and competitiveness of the Middle Corridor. Based on the foregoing, I believe it is necessary to conduct a thorough assessment of the potential for increased trade with Eastern countries, enhance cooperation, and develop a comprehensive development strategy. It is also crucial to strengthen investment cooperation, complete and operationalize the full modernization of the railway infrastructure, utilize the fundamental advantages of the Middle Corridor, and emphasize core elements—such as cost, time, and reliability—to stimulate international cooperation.

Thus, the full modernization of transport infrastructure and the exploration of new perspectives will significantly enhance Georgia's competitiveness in the international market and ensure a high degree of interest in the Middle Corridor. Ultimately, this will foster economic growth and positively affect the welfare of the population.

Keywords: transport infrastructure, cargo turnover, freight transportation, middle corridor, cargo volume.

საერთაშორისო ტურიზმი - მდგრადი განვითარება

მანანა ვასაძე - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

მსოფლიო მასშტაბით დღევანელ ეკონომიკაში ტურიზმის ინდუსტრია აქტიურ როლს ასრულებს. ტურიზმის ინდუსტრია ზრდის ინდივიდების შემოსავლისა და კეთილდღეობის დონეს, ხოლო ქვეყნისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ რჩება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ტურიზმის ახალი ტენდენციების შესწავლა.

ტურიზმის ინდუსტრიაში წარმოებული კონკურენცია ზრდის წარმოებული ტურისტული პროდუქტების ხარისხს, რომელიც შეესაბამება ტურისტების მოლოდინებს. მოკლედ, დღეს ბაზრისა და ეკონომიკის წესები, განსაკუთრებით, ტურისტების ქცევა, რადიკალურად იცვლება.

ტურისტული პროდუქტების მომხმარებლები, როგორც წესი, ტურის შეძენით თავისუფალ დროსა და ხარჯებს უფრო აქტიურ შესაძლებლობებზე მიმართავენ. ამ გზით მათ შეიძლება ახალი გამოცდილებები მიიღონ. ნამდვილმა ტურისტულმა პროდუქტმა ტურისტებისთვის ახალი პრიორიტეტები უნდა შექმნას. საერთაშორისო ტურიზმის ინდუსტრიაში განვითარება გაანალიზებულია ოთხი ელემენტის ფარგლებში. ეს ოთხი ელემენტი განისაზღვრება, როგორც მონაწილეები, აქტივობები და პროდუქტები, დანიშნულების ადგილები და მომწოდებლები.

არსებობს ოთხი მნიშვნელოვანი მოტივაცია, რომელიც ხელს უწყობს მდგრადი ტურიზმის განვითარებას (Bramwell and Lane, 2005; Sung et al., 2001: 47-48)

პროდუქტებს, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა ეროვნების ადამიანების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, აქვთ მომხმარებელთა ფართო პოტენციალი (Bramwell and Lane, 2005).

ახალი პროდუქტები იხვეწება ბაზრის ცვალებადი პირობებისა და ტექნოლოგიების საფუძველზე (მაკამე და ბუნი, 2008). სვარბრუკის და სხვების (2003: 260) თანახმად, აქტიური ტურიზმის პროდუქტები მომავალში უფრო პოპულარული გახდება და მათ შეიძლება ეწოდოს ბუნების სპორტული აქტივობები, ოჯახური მოგზაურობები, სასარგებლო მოგზაურობები, ტექნოლოგიებით განპირობებული აქტივობები, პრესტიჟული მოგზაურობები და მოკლე შესვენებები. ამ პროდუქტების შეკვეთა ხორციელდება ისეთი პროდუქტებისგან, რომელთა შეძენაც ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს, ასევე გონებრივ აქტივობებზე დაფუძნებული პროდუქტებისგან.

აღსანიშნავია, რომ 21-ე საუკუნეში არაფიზიკური ტურიზმის ტიპები ყურადღებას იპყრობს როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების ფაქტორების გამო. მინტელი (2000) აღნიშნავს, რომ შეზღუდული დასვენების დრო ადამიანებს ცხოვრების წესის შეცვლისკენ უბიძგებს.

არაფიზიკური სათავგადასავლო აქტივობების ბოლო ეფექტური საბაზრო სეგმენტი ის არის, რომ პენსიონერები ამ ტიპის მოგზაურობას ჯანმრთელობის რეაბილიტაციის მიზნით ანიჭებენ უპირატესობას.

ბუნებრივ რესურსებსა და ადგილობრივ კულტურებზე ტურისტული აქტივობების ზრდის უარყოფითი გავლენის გამო, დანიშნულების ადგილებში შეზღუდვები იზრდება. შეზღუდვები შეიძლება გამოყენებულ იქნას ვიზიტორების რაოდენობის, განაწილებისა და ქცევის გასაკონტროლებლად. აღსანიშნავია, რომ შეზღუდვები შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნას შეფასებული. ინფორმაციულ ეპოქაში, ტურისტული ორგანიზაციების მზარდი რაოდენობა სხვადასხვა აქტივობებს იყენებს, როგორც მარკეტინგულ ინსტრუმენტს, რათა გაზარდოს ნიშური დასასვენებელი პროდუქტების შესახებ ცნობიერება. ეკოტურიზმის კონცეფციის საფუძველზე დაწესდა სხვადასხვა სტანდარტი, რათა დაიცვათ პროდუქტების ხარისხი და დანიშნულების ადგილების მიმზიდველობა. გარემოსდაცვითი მართვის სისტემის ფარგლებში, პროდუქტების ხარისხი დამოწმებულია მოცემული სერტიფიკატებით (Atherton and Atherton, 2003: 115). მომწოდებლებსა და ტუროპერატორებს შორის პარტნიორობა დანიშნულების ადგილებზე ახალი

ტურისტული ცენტრების შესაქმნელად გაგრძელდება მომდევნო წლებში. განვითარებადმა ქვეყნებმა შესაძლოა უფრო მეტი წილი მიიღონ ბაზრიდან. ეს ნიშნავს ტურისტების სარგებლისა და ლოიალობის გადახედვის აუცილებლობას.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული პროდუქტი, საერთაშორისო ტურიზმი, მდგრადი განვითარება, საბაზრო სეგმენტი, ნიშური მარკეტინგი

Sustainable Development of International Tourism

Manana Vasadze - Doctor of Economics, Professor
Tbilisi Humanitarian University

The tourism industry plays an active role in the modern economy worldwide. It increases the well-being of individuals, and remains an important source of income for the country. Therefore, it is important to study new trends in tourism. Competition in the tourism industry increases the quality of tourism products produced, which meets the expectations of tourists. In short, today the rules of the market and economy, especially the behavior of tourists, are changing radically (Garrod and Fayol, 1998, 2002).

Consumers of tourism products by purchasing a tour, direct their free time and expenses to more active opportunities. In this way, they can gain new experiences. A real tourism product should create new priorities for tourists. Developments in the international tourism industry are analyzed within the framework of four elements. These four elements are defined as participants, activities and products, destinations and suppliers. There are four important motivations that contribute to the development of sustainable tourism (Bramwell and Lane, 2005; Sung et al., 2001: 47-48)

Products that are designed to meet the needs of people of different nationalities have a wide potential for consumers (Bramwell and Lane, 2005). New products are developed based on changing market conditions and technologies (Makame and Boone, 2008). According to Swarbrick et al. (2003: 260), active tourism products will become more popular in the future and can be called outdoor sports activities, family trips, useful trips, technology-driven activities, prestige trips and short breaks. These products are ordered from products that require physical effort to purchase, as well as products based on mental activities. It is worth noting that in the 21st century, non-physical types of tourism are attracting attention due to both demand and supply factors. Mintel (2000) notes that limited leisure time is pushing people to change their lifestyles.

A final viable market segment for non-physical adventure activities is that retirees prefer this type of travel for health rehabilitation purposes. Due to the negative impact of increasing tourism activities on natural resources and local cultures, restrictions are increasing in destinations. Restrictions can be used to control the number, distribution and behavior of visitors. Restrictions can be assessed in different ways.

In the information age, an increasing number of tourism organizations use various activities as marketing tools to increase awareness of niche leisure products. Based on the concept of ecotourism, various standards have been established to protect the quality of products and the attractiveness of destinations. Within the framework of environmental management systems, the quality of products is verified by the given certificates (Atherton and Atherton, 2003: 115).

Partnerships between suppliers and tour operators to create new tourist centers in destinations will continue in the coming years. Developing countries may gain a larger share of the market. This means that there is a need to rethink the benefits and loyalty of tourists.

Keywords: tourism product, international tourism, sustainable development, market segment, marketing tools

მცირე და საშუალო საწარმოების დიგიტალიზაცია და მდგრადი პრაქტიკა საქართველოში: ინსტიტუციური გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

ნონა გელიტაშვილი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, აფილირებული პროფესორი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიგიტალიზაცია და მდგრადობა იქცა კონკურენტუნარიანობის, ინოვაციური ზრდისა და გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორებად. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო საწარმოებს, რომლებიც საქართველოს ბიზნეს სექტორის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დასაქმების, რეგიონული განვითარების და ეკონომიკური დივერსიფიკაციის კუთხით. მიუხედავად ამისა, მცირე და საშუალო საწარმოები ხშირად აწყდებიან სტრუქტურულ, ტექნოლოგიურ და ინსტიტუციურ ბარიერებს, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობებს სრულად ჩაერთონ დიგიტალიზაციისა და მდგრადი განვითარების პროცესებში.

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების დიგიტალიზაციისა და მდგრადი პრაქტიკის დანერგვის არსებული მდგომარეობა, გამოავლინოს ძირითადი ინსტიტუციური და ეკონომიკური გამოწვევები და შეაფასოს ევროკავშირის მხარდაჭერილი პროგრამების როლი ამ პროცესების ხელშეწყობაში. კვლევა ეყრდნობა ინსტიტუციურ თეორიას, დიგიტალური ტრანსფორმაციის კონცეფციებსა და მდგრადი გარდაქმნების თეორიულ ჩარჩოს, რაც საშუალებას იძლევა დიგიტალიზაცია განიხილებოდეს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ მმართველობით და პოლიტიკურ პროცესად.

კვლევაში გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც მოიცავს პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზს, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ფარგლებში მოქმედი პროგრამების მიმოხილვას (EU4Digital, EU4Business, EU4Innovation), ასევე მცირე და საშუალო საწარმოების დიგიტალური პრაქტიკის შესახებ ხელმისაწვდომ სტატისტიკურ და ემპირიულ მონაცემებს. ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში დიგიტალიზაციის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება საწარმოების ზომის მიხედვით: დიდი საწარმოები უფრო აქტიურად იყენებენ ERP სისტემებს, ღრუბლოვანი სერვისებს, CRM პლატფორმებსა და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს, მაშინ როდესაც მცირე და საშუალო საწარმოები ძირითადად შემოიფარგლებიან საბაზისო დიგიტალური ინსტრუმენტებით, როგორცაა სოციალური მედია და ვებ-გაყიდვები.

მდგრადი პრაქტიკის დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებში ასევე შეზღუდულია. ძირითადი დაბრკოლებები უკავშირდება ფინანსური რესურსების სიმცირეს, ცოდნის ნაკლებობას, დანერგვის მაღალ ხარჯებსა და სუსტ მარეგულირებელ სტიმულებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მხარდაჭერილი პროგრამები მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის დიგიტალური უნარების განვითარების, ინოვაციური ეკოსისტემების გაძლიერებისა და მწვანე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით, მათი ეფექტიანობა ხშირად იზღუდება ინსტიტუციური კოორდინაციის ნაკლებობითა და პოლიტიკის ფრაგმენტირებული განხორციელებით.

დასკვნის სახით, ნაშრომი აჩვენებს, რომ საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების დიგიტალიზაციისა და მდგრადი პრაქტიკის ინტეგრაცია წარმოადგენს მრავალგანზომილებიან პროცესს, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს, ორგანიზაციულ მზაობასა და ინსტიტუციურ გარემოს. არსებული ანალიზი მიუთითებს, რომ დიგიტალური ტექნოლოგიების დანერგვა და მდგრადობის პრინციპების გათვალისწინება მცირე და საშუალო საწარმოებში არა მხოლოდ ზრდის ოპერაციულ ეფექტიანობასა და ბაზარზე ადაპტაციის უნარს, არამედ ქმნის

წინაპირობებს ბიზნეს მოდელების ტრანსფორმაციისთვის. აღნიშნული შედეგები ამყარებს დასკვნას, რომ დიגיტილიზაცია და მდგრადობა ურთიერთდამოკიდებული პროცესებია და მათი ერთობლივი განვითარება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი სტრუქტურული ტრანსფორმაციის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო საწარმოები; დიგიტილიზაცია; მდგრადი განვითარება; ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობა; ეკონომიკური ტრანსფორმაცია.

Digitalisation and Sustainability Practices in Georgian SMEs: Institutional Challenges and Development Pathways

Nona Gelitashvili, Tbilisi Humanitarian University, Afililiated Professor

At the current stage of Georgia's economic development, digitalisation and sustainability have become key drivers of competitiveness, innovation, and long-term economic resilience. Within this context, small and medium-sized enterprises (SMEs) play a central role, as they constitute the vast majority of businesses in Georgia and significantly contribute to employment, regional development, and economic diversification. Nevertheless, SMEs often face structural, technological, and institutional constraints that limit their ability to fully engage in digital transformation and sustainability-oriented practices.

The aim of this contribution is to analyse the current state of digitalisation and sustainability adoption among Georgian SMEs, identify key institutional and economic challenges, and assess the role of EU-supported programs in facilitating these processes. The study draws on institutional theory, digital transformation concepts, and sustainability transitions frameworks, allowing digitalisation to be understood not merely as a technological upgrade, but as a governance- and policy-driven transformation process.

The research applies a mixed-methods approach, combining policy document analysis with a review of EU Eastern Partnership (EaP) initiatives, including EU4Digital, EU4Business, and EU4Innovation, as well as available statistical and empirical data on SME digital practices. The findings indicate a significant gap in digital adoption between large enterprises and SMEs. While large firms increasingly use advanced digital tools such as ERP systems, cloud services, CRM platforms, and artificial intelligence technologies, SMEs tend to rely primarily on basic digital solutions, including social media presence and web-based sales.

The adoption of sustainability practices among SMEs remains similarly limited. Key barriers include restricted financial resources, lack of technical knowledge, high implementation costs, and weak regulatory incentives. Although EU-supported programs offer important opportunities for improving digital skills, strengthening innovation ecosystems, and enhancing access to green technologies, their impact is often constrained by fragmented institutional coordination and uneven policy implementation at the national level.

In conclusion, this study demonstrates that the integration of digitalisation and sustainability practices among small and medium-sized enterprises in Georgia constitutes a complex process involving technological capabilities, organisational readiness, and the institutional environment. The analysis indicates that the adoption of digital technologies and the consideration of sustainability principles enhance operational efficiency and adaptive capacity in SMEs, while simultaneously creating preconditions for the gradual transformation of business practices and development trajectories. In this regard, digitalisation and sustainability emerge as interrelated processes whose combined development plays an important role in the context of Georgia's long-term structural economic transformation.

Keywords: Small and Medium-sized Enterprises (SMEs); Digitalisation; Sustainable Development; Eastern Partnership of the European Union; Economic Transformation

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაუცველი ჯგუფებისთვის შესაბამისი სასწავლო პირობების უზრუნველყოფა

თამარ ქობლიანიძე, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნოე ხოზრევიაძე, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შორენა კუპრეიშვილი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნინო მეზონია, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მოწყვლადი ჯგუფებისთვის შესაბამისი სასწავლო პირობების უზრუნველყოფა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წარმოადგენს საგანმანათლებლო თანასწორობისა და ინსტიტუციური მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას. წარმოდგენილი კვლევა აანალიზებს უნივერსიტეტში მოქმედ პოლიტიკას, ინფრასტრუქტურას, სასწავლო პრაქტიკებსა და მხარდაჭერის მექანიზმებს, რომლებიც გავლენას ახდენს მოწყვლადი სტუდენტების სასწავლო პროცესზე. კვლევის სამიზნე ჯგუფებში შედიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სოციალური–ეკონომიკურად დაუცველი სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები, აგრეთვე ენობრივი და კულტურული ბარიერების მქონე სტუდენტები. გამოყენებულია შერეული კვლევითი მიდგომა, რომელიც მოიცავს ნორმატიული დოკუმენტების ანალიზს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან სტრუქტურირებულ ინტერვიუებსა და სტუდენტურ გამოკითხვებს.

კვლევის შედეგები ცხადყოფს არსებულ პრობლემებს, მათ შორის ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობის ნაკლებობას, ინკლუზიური პედაგოგიკის შეზღუდულ გამოყენებას, აკადემიური და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის არასაკმარის დონეს, ფინანსურ სირთულეებს, აგრეთვე მოწყვლადი სტუდენტების საჭიროებების შესახებ სისტემური მონაცემების დეფიციტს.

კვლევის საფუძველზე შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები: აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების გაძლიერება; ინკლუზიური სწავლებისა და ადაპტიური შეფასების გაუმჯობესება; მიზნობრივი ფინანსური მხარდაჭერისა და მოქნილი სასწავლო ფორმების გაფართოება; საკონსულტაციო და თანატოლი მხარდაჭერის სერვისების გაძლიერება; ასევე მონაცემთა ცენტრალიზებული მონიტორინგის სისტემის შექმნა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება, კოორდინირებული ინსტიტუციური პოლიტიკის პირობებში, შესაძლებელს გახდის საგანმანათლებლო უთანასწორობის შემცირებას და მოწყვლადი სტუდენტების აკადემიური წარმატებისა და სოციალური ინკლუზიის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: მოწყვლადი ჯგუფები, მხარდაჭერის სერვისები, მდგრადი განვითარება,

Ensuring appropriate learning conditions for vulnerable groups at the Georgian Technical University

Tamar Koblianidze, Professor, Georgian Technical University

Noe Khozrevidze, Professor Georgian Technical University

Shorena Kupreishvili, Associate Professor Georgian Technical University

Nino Mebonia, Associate Professor, Georgian Technical University

Ensuring equitable and adequate learning conditions for vulnerable groups at Georgian Technical University constitutes a critical prerequisite for promoting educational equity and institutional sustainability. This study examines the institutional policies, physical infrastructure, pedagogical practices, and student support mechanisms that shape the educational experiences of vulnerable student populations. The target groups include students with disabilities, socio-economically disadvantaged students, internally displaced persons and refugees, as well as students encountering linguistic and cultural barriers. A mixed-methods research design was employed, incorporating an analysis of institutional and normative documents, structured interviews with academic and administrative staff, and student surveys.

The findings identify several persistent challenges, including limited infrastructural accessibility, insufficient implementation of inclusive pedagogical approaches, inadequate academic and psychosocial support services, financial constraints, and a lack of systematic data on the needs of vulnerable students.

Based on the results, the study proposes the following recommendations: strengthening the professional development of academic staff; enhancing inclusive teaching practices and adaptive assessment methods; expanding targeted financial assistance and flexible learning modalities; reinforcing counseling and peer-support services; and establishing a centralized monitoring and data management system. The coordinated implementation of these measures within a coherent institutional policy framework has the potential to reduce educational inequalities and to enhance both the academic success and social inclusion of vulnerable students.

Keywords: vulnerable groups,

ახალი გასტროპროექტების როლი საქართველოს ტურიზმის მდგრად განვითარებაში

მაია მელაძე, ასოცირებული პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის
უნივერსიტეტი

ოცდამეერთე საუკუნეში ტურისტული პროდუქტის მომხმარებელს სრულიად განსხვავებული მოთხოვნები აქვს. გამოცდილი ტურისტი ტურისტული ადგილების მონახულებისას სუვენირების შეძენის ნაცვლად ახალი, უნიკალური გამოცდილების დაგროვებას ამჯობინებს.

გასტრონომია ტურისტული ბაზრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა. საქართველო უნიკალური ქვეყანაა, როგორც ღვინის სამშობლო და ქვეყანა, რომელიც გამოირჩევა ეთნოგრაფიული რეგიონების სიმრავლით. საქართველოს ისტორიულად აქვს გასტრონომიის, ნადიმების, მასპინძლობის ტრადიციები, რაც მნიშვნელოვანი ელემენტებია იმისათვის, რომ ის ტურისტულ პროდუქტად იქცეს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ვიზიტორებისთვის. ამავდროულად, ის ძალიან მნიშვნელოვანია ე.წ. სოფლის განვითარების, რეგიონული განვითარების, ინკლუზიურობის, ოჯახური მეურნეობის ხელშეწყობისთვის.

თითოეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონს ჰქონდა თავისი ბუნებრივი და სასოფლო-სამეურნეო სპეციფიკა, რაც ეთნიკური ჯგუფის კვების თავისებურებას განაპირობებდა. უცხოელი ტურისტების დიდი უმრავლესობა, ვინც პირველად სინჯავს ქართულ ტრადიციულ კერძს, მაშინვე აღნიშნავს მის საუკეთესო გემოსა და სურნელს. საქართველოს ტრადიციული ქვევრში ყურძნის დაღვინების მეთოდი, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შევიდა.

არსებობს რამდენიმე პროექტი, რომელიც ორიენტირებულია საქართველოს მასშტაბით უნიკალური შეთავაზებების შექმნაზე, სადაც მასპინძელი ოჯახები სტუმრებს რეგიონულ კერძებს სთავაზობენ და ადგილობრივ ტრადიციებს აცნობენ, მათ შორის, საკვების მომზადებასა და კულტურულ გაცვლებში მონაწილეობის ჩათვლით.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული პროდუქტი, სოფლის განვითარება, რეგიონული განვითარება, მასპინძლობის ტრადიციები, ადგილობრივი ტრადიციები.

Role of New Gastro Projects in the Sustainable Development of Georgian Tourism

Maia Meladze, Grigol Robakidze University

In the twenty-first century, the consumer of the tourism product has completely different requirements. An experienced and frequent tourist prefers to accumulate new unique experiences instead of buying souvenirs while visiting tourist places.

Gastronomy has become one of the most important parts of a tourism market. Georgia is a unique country as a homeland of wine and a country which is distinctive for its plenty of ethnographic regions. Georgia historically has traditions of gastronomy, feasting, hospitality, which are important elements to make it a tourist product for local as well as international visitors. At the same time, it is very important for the so-called rural development, regional development, inclusiveness, promotion of family farming. Each historical-ethnographic region had its own natural and agricultural specificity, which led to the peculiarity of the ethnic group feeding. A great Majority of foreign tourists, who tries Georgian traditional dish for the first time, declares about its best taste and scent at once. Georgia's traditional winemaking method of fermenting grapes in earthenware, egg-shaped vessels has been added to the world heritage list of the UNESCO.

There are some projects focuses on creating unique offers across Georgia, where host families provide regional dishes and immerse guests in local traditions, including participation in food preparation and cultural exchanges.

Keywords: tourism product, rural development, regional development, hospitality, local traditions.

III სექცია

Section III

სამართალმცოდნეობა

Law

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების განხილვისა და ინსტიტუციური გამოწვევების რეფორმაცია

დავით გეფერიძე, საერთაშორისო სამართლის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) ცენტრალურ როლს ასრულებს საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირებაში, უზრუნველყოფს რა გლობალური ვაჭრობის სამართლებრივ ჩარჩოს. ორგანიზაცია შეიქმნა 1995 წელს მარაკეის შეთანხმების საფუძველზე და მისი მიზანია ვაჭრობის ნაკადების ხელშეწყობა, ბარიერების შემცირება და დავების გადაწყვეტის პლატფორმის შექმნა მისი 166 წევრი სახელმწიფოსთვის. WTO ემყარება ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალურ შეთანხმებას (GATT) და მოიცავს სამართლებრივად სავალდებულო ვალდებულებებს საქონლის, მომსახურებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მიუხედავად მისი სადამფუძნებლო მიზნებისა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიმართ კრიტიკა იზრდება, განსაკუთრებით დავების განხილვის სისტემის, გადაწყვეტილების მიღების პროცესებისა და აღსრულების მექანიზმების პრობლემური საკითხებიდან გამომდინარე. აშშ-ის მიერ სააპელაციო ორგანოს (Appellate Body) წევრების დანიშვნის დაბლოკვის გამო, WTO-ს დავების გადაწყვეტის მექანიზმი პრაქტიკულად პარალიზებულია. გარდა ამისა, კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი არაერთხელ აღმოჩნდა ჩიხში, განსაკუთრებით დოჰას განვითარების რაუნდის მოლაპარაკებების წარუმატებლობის გამო. განვითარებადი ქვეყნები ასევე გამოთქვამენ შეშფოთებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების სამართლიანობასთან დაკავშირებით, აცხადებენ რა, რომ ისინი დიდ ეკონომიკებს უფრო მეტად უწყობს ხელს განვითარებაში და ზღუდავს განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობას, დაიცვან თავიანთი ეკონომიკური ინტერესები.

ამ გამოწვევების ფონზე, ინსტიტუციური რეფორმის საჭიროება სულ უფრო აქტუალური ხდება. აღნიშნული სტატია საერთაშორისო სამართლებრივი პერსპექტივიდან განიხილავს იმ რეფორმებს, რომლებიც აუცილებელია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ეფექტიანობის, სამართლიანობისა და აღსრულების მექანიზმების გასაძლიერებლად. არსებული სისტემის ნაკლოვანებების ანალიზის გზით და შესაძლო სამართლებრივი გადაწყვეტილებების შეთავაზებით, ნაშრომი მიზნად ისახავს საერთაშორისო ვაჭრობის მმართველობის გარშემო მიმდინარე დისკუსიაში წვლილის შეტანას.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ინსტიტუციური რეფორმა, დავების განხილვა, ეკონომიკა, საერთაშორისო სამართალი

Reformation of the World Trade Organization's Dispute Settlement System and Institutional Challenges

Davit Geperidze, Doctor of International Law, Affiliated Professor of Gori State University, Associate Professor of Tbilisi Humanitarian University

The World Trade Organization (WTO) plays a central role in regulating international trade, providing the legal framework for global commerce. Established in 1995 on the basis of the Marrakesh Agreement, the WTO's main objectives are to facilitate trade flows, reduce barriers, and offer a platform for dispute resolution among its 166 member states. The organization builds upon the General Agreement on Tariffs and Trade (GATT) and encompasses legally binding commitments in the areas of goods, services, and intellectual property.

Despite its foundational goals, the WTO has faced growing criticism, particularly concerning the functioning of its dispute settlement system, decision-making procedures, and enforcement mechanisms. The organization's Appellate Body has been effectively paralysed due to the United States' continued blockage of new judicial appointments. Furthermore, the consensus-based decision-making process has repeatedly stalled, most notably following the failure of the Doha Development Round negotiations. Developing countries have also voiced concerns about the fairness of WTO rules, arguing that they favour large economies while restricting the ability of developing nations to protect their own economic interests.

Against this backdrop, the need for institutional reform has become increasingly urgent. This article examines, from an international legal perspective, the reforms necessary to enhance the WTO's effectiveness, fairness, and enforcement mechanisms. Through an analysis of the current system's shortcomings and the proposal of possible legal solutions, the paper seeks to contribute to the ongoing debate surrounding the governance of international trade.

Keywords: World Trade Organization, institutional reform, dispute settlement, economy, international law

მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა საქორწინო კონტრაქტის პირობებში

ლია ჭილაშვილი სამართლის დოქტორი, პროფესორი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

წარმოდგენილი ნაშრომი, ეხება „მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფას საქორწინო კონტრაქტის პირობებში“, თემის აქტუალობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ფართო ჭრილში განვიხილოთ ყველა ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც წარმოაჩენს საქორწინო ხელშეკრულების როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. ის ასევე არის ერთგვარი დამცავი მექანიზმი წყვილთა შორის ქორწინებისა და განქორწინების დროს წარმოშობილ ქონებრივ და არაქონებრივ ვალდებულებებზე.

ნაშრომის თემატიკა თავისი შინაარსით განსაკუთრებულია, რადგან ოჯახის განვითარება თითოეული ჩვენთაგანისა და ცივილიზებული საზოგადოებისათვის წარმოადგენს მეტად საჭირო საკითხს. განვითარებული ოჯახი კი სახელმწიფოს წარმატების საწინდარიცაა. აქედან გამომდინარე, წინამდებარი ნაშრომში შესწავლილია ის ძირეული საკითხები, რომლებიც იმავდროულად საინტერესო და პრობლემურიცაა, აღნიშნულ ინსტიტუტთან მიმართებით.

ნაშრომის უმთავრეს მიზანს საქორწინო ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების საფუძვლიანი ანალიზი წარმოადგენს, სადაც შედარებით ჭრილში განხილულია საქართველოსა და უცხო ქვეყნების კანონმდებლობები, კვლევამ ცხადყო არსებული პრობლემები და დავსახეთ ალტერნატიული გადაწყვეტილებების გზებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით უკვე არსებობს როგორც შესაბამისი კანონმდებლობა, ისე სამეცნიერო ლიტერატურა და მონოგრაფიული ნაშრომები, პრობლემა კვლავაც აქტუალურია, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში. საქორწინო ხელშეკრულება თავისი სირთულეებითა და სპეციფიკით განაპირობებს მის მუდმივ განვითარებასა და სამართლებრივი მექანიზმების დახვეწის საჭიროებას, შესაბამისად, სამეცნიერო დაინტერესება და კვლევითი მიდგომები ამ საკითხის ირგვლივ არ კარგავს აქტუალობას.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და უცხოური სამართლებრივი მოდელების გათვალისწინება. სხვათა პოზიტიური პრაქტიკის შესაწავლა ხელს შეუწყობს საქართველოში არსებული მარეგულირებელი სისტემის გაუმჯობესებას, იმგვარად, რომ ის მაქსიმალურად შეესაბამებოდეს ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ კონტექსტს და პასუხობდეს თანამედროვე სამართლებრივ გამოწვევებს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, სამომავლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საქორწინო კონტრაქტის ამოქმედებასთან მიმართებით. რისთვისაც აუცილებელია ფართო საზოგადოებრივი განათლების კამპანიების განხორციელება, სადაც იქნება წარმოდგენილი როგორც ამ ინსტიტუტის უპირატესობები, ისე მისი შესაძლო შეზღუდვები. განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წარმართოს სწორი სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში, სადაც ნათლად იქნება წარმოჩენილი საქორწინო ხელშეკრულების უფლებრივი შედეგები და სამართლებრივი გარანტიები.

Division of Jointly Owned Property of Spouses under the Conditions of a Marriage Contract

Lia Chiglashvili, Doctor of Law, Professor, Tbilisi Humanitarian University, Member of the Union of Law Scientists

The presented study addresses the issue of the „Division of jointly owned property of spouses under the conditions of a marriage contract.“ Given to the relevance of the topic, in a broad perspective, it is essential to examine all legal norms that reveals both positive and negative aspects of the marriage contract. Its further functions as a legal safeguard regulating proprietary and non-proprietary obligations that arise between spouses both during the subsistence of marriage and upon its dissolution.

The subject matter of the study is distinctive in its content, as the development and stability of the family represents a matter of fundamental important for each individual and for civilized society as a whole. A well-functioning family in turn constitutes one of the key foundations of state success. Accordingly, the presented research examines core issues related წვერto this legal institution, which are simultaneously of significant and inherently problematic.

The primary objective of the research is to provide a comprehensive analysis of the legal regulations of marriage contracts. In this regard, the research adopts a comprehensive approach, examining the legislation of Georgia alongside that of foreign jurisdictions. The research identifies existing legal challenges and outlines potential solutions

Despite the existence of relevant legislation, scientific literature and monographic studies addressing this topic, the issue remains highly relevant within the field of civil law scholarship. Due to its complexity and scientific characteristic, the institution of the marriage contract requires continuous development and refinement of legal mechanisms. Consequently, scholarly interest and research approaches in this area continue to retain their significance.

Within this context we have to plays a particular consideration of foreign experience and comparative legal models. Sharing the positive practices, may contribute to the improvement of the regulatory system in Georgia, ensuring that it aligns more closely with the country’s socio-cultural context and adequately responds to contemporary legal challenges.

Notwithstanding the foregoing, it is essential enhancing public awareness regarding the application and implications of marriage contracts. This necessitates the implementation of broad public education campaigns that clearly presenting both the advantages and potential limitations of this legal institution. Particular attention should be paid public awareness within a proper legal framework, wherein the legal consequences and guarantees associated with marriage contracts are clearly articulated.

სახელმწიფოთა კონსტიტუციით აღიარებულ მმართველობით ფორმებში საარჩევნო სისტემის სამართლებრივი ასპექტები

მანანა ხვედელიძე, სამართლის დოქტორი, აფილირებული პროფესორი თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

სამეცნიერო ნაშრომში მიზანშეწონილად მივიჩნით განგვეხილა 60-მდე სახელმწიფოს მოქმედ კონსტიტუციებსა და კონსტიტუციური აქტებით განსაზღვრულ დებულებებში სახელმწიფოთა მმართველობის ფორმები, საქართველოს კონსტიტუციაში რეფორმის შედეგად განხორციელებული ცვლილებათა გათვალისწინებით ჩვენთვის საინტერესო იყო სახელმწიფო მექანიზმის ერთ-ერთი ძირითადი რგოლის საპარლამენტო რესპუბლიკის კლასიკური მოდელის პირობებში მმართველობის ფორმის თავისებურებები, თუ როგორია პოლიტიკური წყობა და ვისზეა დამოკიდებული ძალაუფლების ვერტიკალი, რა თავისებურებებით გამოირჩევა საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში პარლამენტისა და პრეზიდენტის ფუნქციები, შესაბამისად როგორია პროპორციული და პირდაპირი საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკონსტიტუციო ნორმებში პოლიტიკური პარტიებიდან და სხვა საარჩევნო დეპუტატების კანდიდატებიდან ნორმათა ბალანსი.

XYIII-XXI საუკუნეებში მიღებული კონსტიტუციებისა და კონსტიტუციური აქტებით აღიარებული მმართველობის ფორმების ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს გავაანალიზოთ თუ როგორ ხდებოდა იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებისა და ქვეყნების თავისებურების გათვალისწინებით სახელისუფლო მმართველობითი ორგანოების ინსტიტუტების შექმნა, დამკვიდრება და განვითარება. თითოეული სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციით განსაზღვრული მმართველობითი ფორმების სამართლებრივი სისტემა თვალნათლივ ასახავს საკანონმდებლო აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოებისათვის ხელისუფლების დანაწილების უფლებამოსილებებს და უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების საარჩევნო სისტემის სამართლებრივ ასპექტებს, რომელსაც სასიცოცხლოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების პოლიტიკურ-სოციალური პირობების უზრუნველსაყოფად. კონფერენციის მონაწილეები ანალიზზე დაყრდნობით იმსჯელებენ და პარალელს გაავლებენ სამართალგანვითარების დადებით და ნაკლოვან მხარეებზე, საქართველოს კონსტიტუციაში ბოლო დროს განხორციელებული მმართველობითი ფორმის ცვლილებების ანალიზის გათვალისწინებით წარმოდგენილი იქნება სათანადო დასკვნები და წინადადებები.

ქვეყნები შერჩეული იქნა საქართველოს სახელმწიფო ენაზე ნათარგმნი საზღვარგარეთის კონსტიტუციების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუცია, მმართველობა, პარლამენტი, პრეზიდენტი, არჩევნები.

Legal Aspects of Electoral Systems within Forms of Government Recognized by State Constitutions

Manana Khvedelidze Doctor of Law, Affiliated Professor
Tbilisi Humanitarian University

In the present scholarly paper, we consider it appropriate to examine the forms of government defined in the current constitutions and constitutional acts of approximately sixty states. Taking into account the amendments implemented as a result of constitutional reform in Georgia, our particular interest lies in the distinctive features of the form of government within the framework of the classical model of a parliamentary republic, as one of the fundamental components of the state mechanism.

The research focuses on the nature of the political system and the structure of the vertical distribution of power, identifying the actors upon whom this distribution depends. Special attention is devoted to the respective functions of Parliament and the President in the exercise of legislative authority, as well as to the balance of constitutional norms governing proportional and direct electoral systems, particularly with regard to political parties and other candidates for parliamentary mandates.

An analysis of constitutions and constitutional acts adopted from the eighteenth to the twenty-first centuries, which recognize various forms of government, enables an assessment of how state governing institutions were established, institutionalized, and developed in light of the political realities and specific characteristics of individual countries at different historical stages. The legal systems of governance forms defined by state constitutions clearly reflect the allocation of powers among the legislative, executive, and judicial branches, as well as the legal aspects of electoral systems for holders of the highest political offices—elements that are of vital and decisive importance for ensuring stable political and social conditions within society.

Based on this analysis, conference participants will discuss and draw parallels between the positive aspects and shortcomings of legal development. In light of recent changes to the form of government introduced by amendments to the Constitution of Georgia, relevant conclusions and recommendations will be presented.

The countries examined were selected on the basis of foreign constitutions translated into the Georgian state language

Keywords: Constitution, Governance, Parliament, President, Elections

საალიმენტო შეთანხმება, როგორც არასახელშეკრულებო ვალდებულება და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები

ლელა ნადიბაიძე - სამართლის დოქტორი, ავილირებული პროფესორი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

ბავშვთა უფლებების შესახებ საერთაშორისო თუ შიდა ეროვნული კანონმდებლობით დაცული უმნიშვნელოვანესი და აბსოლუტური უფლება სიცოცხლის უფლება, მნიშვნელოვანწილად უკავშირდება და განპირობებულია მათ მიმართ მშობლების ვალდებულებათა ჯეროვანი და განუხრელი შესრულებით. მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო სამართალში ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობები ძირითადად მაინც განისაზღვრება ზნეობრივი პრინციპებით, მათ მიერ ერთმანეთზე ზრუნვას და დახმარებას გააჩნია ვალდებულების ხასიათი. ჩვენს შემთხვევაში, რადგან ვსაუბრობთ მშობლების მიერ არასრულწლოვანი შვილების რჩენასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ უპირველესად სწორედ მშობლები არიან უფლებამოსილი და ვალდებულები აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით და რის შესრულებაშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს რჩენის ვალდებულებას (თუმცა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არასრულწლოვანთა რჩენის ვალდებულება მშობლების გარდა გააჩნიათ ოჯახის სხვა წევრებსაც). აღნიშნული საკითხი ოდითგანვე იყო სახელწიფოს ზრუნვის საგანი (მხედველობაში მაქვს საკანონმდებლო მათშორის სოციალურ საკითხთა შესახებ კანონმდებლობის ქონა სახელმწიფოში) და განსაკუთრებით აქტუალური გახდა ის თავისუფალი ეკონომიკური ბაზრის პირობებში, როდესაც მშობელთა მატერიალური მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად აღარ არის დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ მათ ხელფასით უზრუნველყოფაზე და იმ პირობებში, როდესაც არცთუ იშვიათად მშობელთა განქორწინებისა თუ მარტოხელა მშობლის სტატუსით უხდებათ მათ შვილების/ბავშვების რჩენა. ამას მოწმობს კანონმდებლობის დამოკიდებულებაც, რომლის მიხედვით: არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტების ოდენობა თვითონ განსაზღვრონ მშობლებმა ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში ამის უფლება მინიჭებული აქვს სასამართლოს, რომელიც ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

მშობელთა ურთიერთშეთანხმებისთვის კანონს არ აქვს სავალდებულო პირობად განსაზღვრული საალიმენტო შეთანხმების/გარიგების წერილობითი სახით დადება, რის გამოც მათ სხვადასხვა შემთხვევებისთვის (განქორწინება თუ ცალ-ცალკე ცხოვრება და სხვა) ხშირად უხდებათ ზეპირად შეთანხმდნენ ბავშვების რჩენის პირობებზე როგორც ალიმენტის, ისე საჭიროებისას დამატებით ხარჯებში მონაწილეების შესახებ. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ისმება კითხვა, თუ რა შედეგი მოყვება მშობელთა შეთანხმებას იმ პირობებში, როდესაც არც მისი სავალდებულო წერილობითი ფორმის დადების არც ვალდებულებაა და რაც მთავარია, არც ამ შეთანხმების შესრულების მექანიზმია ეფექტური, რასაც ცხადყოფს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების პრაქტიკა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი შესრულების მექანიზმი მაინც არსებობს, მხოლოდ სასამართლო დავის პროცესში საქმის განხილვის რომელიმე ეტაპზე მხარეთა მორიგებისას, რასაც კანონმდებლობით დადგენილ წესით ადასტურებს სასამართლო და შესაბამისად გასცემს სააღსრულებო ფურცელს.

აქედან გამომდინარე, საკითხის უდავო წესით მოსაწესრიგებლად (სასამართლო დავის გარეშე) მიგვაჩნია, რომ საალიმენტო შეთანხმების შესახებ საკითხი რეგლამენტირებული იქნეს საკანონმდებლო დონეზე და შეივსოს ეს ხარვეზი, რომელიც საშუალებას მისცემს მხარეებს თვითონ განსაზღვრონ არა მხოლოდ ალიმენტის ოდენობა, არამედ განსაზღვრონ რჩენასთან დაკავშირებული სხვა პირობებიც, რაც არა მხოლოდ არასრულწლოვანის ნორმალურ პირობებში არზრდასა და რჩენას უზრუნველყოფს, არამედ მხარეები შეძლებენ ცივილიზებული წესით შეინარჩუნონ ის ურთიერთობები, რაც საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის გარეშე არსებობდა ან უნდა იარსებოს მხარეთა შორის ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომლის მიზანი და დანიშნულების ქვაკუთხედიც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა და ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფაა საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობით, სამწუხაროდ, ეს საკითხი ვერც ამ კოდექსმა გადაწყვიტა ისე, რომ საალიმენტო შეთანხმებით ეფექტური გამხდარიყო მშობლების მიერ ბავშვთა რჩენის საკითხი , არადა ამავე კოდექსში მითითებულია, რომ ყოველ ბავშვს აქვს უფლება ცხოვრების ისეთ სტანდარტზე, რომელიც შეესაბამება მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების საჭიროებებს. **ბავშვის ცხოვრების სათანადო სტანდარტი კითვალისწინებს ბავშვის სულ მცირე, საკვებით, სუფთა სასმელი წყლით, ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელი გარემოთი, ჯანსაღი ცხოვრების წესის უზრუნველყოფას, რაც წარმოუდგენელია მშობელთა მატერიალური მხარდაჭერის გარეშე. თუმცა, კანონი საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას რესურსების ფარგლებში გაუწიოს მშობელს ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული მიზნობრივი მატერიალური და არამატერიალური დახმარება და განახორციელოს მხარდაჭერის პროგრამები, განსაკუთრებით – საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალიმენტი, როგორც მშობელთა მატერიალური მხარდაჭერის საშუალება, არა მხოლოდ უზრუნველყოფს არსებობისთვის აუცილებელ მინიმალურ შესაძლებლობას, ის ასევე უნდა უზრუნველყოფდეს ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებას, რომელიც ალიმენტის მიმღებ ბავშვს ექნებოდა მისი მშობლების ნორმალური ურთიერთობისა და მისი ოჯახში აღზრდის პირობებში . მიგვაჩნია, რომ სწორედ საალიმენტო შეთანხმების სავალდებულო წერილობითი ფორმით შემოღებაა ამ საკითხის მოწესრიგების საუკეთესო შესაძლებლობა, რომელიც მხარეებს თავისუფალი შეთანხმების პირობები მისცემს შესაძლებლობას თვითონ განსაზღვრონ არამხოლოდ ალიმენტის ოდენობა, არამედ მისი გადახდის პერიოდი, ფორმა, მისი შეცვლის პირობები და მათშორის მისი შეუსრულებლობისთვის (ალიმენტის გადაუხდელობისთვის) პასუხისმგებლობის ფორმებიც კი.**

The Child Support Agreement as a Non-Contractual Obligation and Its Related Legal Aspects
Lela Nadibaidze – Doctor of Law, Affiliated Professor at Tbilisi
Humanities University.

According to both international and domestic legislation on children’s rights, the most essential and absolute right—the right to life—is largely linked to and conditioned by the proper and consistent fulfillment of parental obligations. Although, in family law, relationships among family members are generally guided by moral principles, the care and assistance they provide to one another nonetheless have the character of legal obligations.

In the present context, since we are discussing the maintenance of minor children by their parents, it is important to note that parents are primarily authorized and obliged to raise their children, to ensure their physical, mental, spiritual, and social development, and to bring them up as worthy members of society, with the child’s best interests taking precedence. The obligation of maintenance

plays a crucial role in fulfilling these duties (although, in cases provided by law, other family members may also be obligated to support minors).

This issue has traditionally been a matter of state concern (meaning the state's establishment of legislative—particularly social—regulations), and it became especially relevant under conditions of a free economic market, where the financial circumstances of parents are no longer tied to state-provided salaries and where, quite often, due to divorce or single-parent status, parents must support their children independently. This is also reflected in legislation, which provides that parents themselves may determine by mutual agreement the amount of child support to be paid for minor or adult children incapable of work. If no agreement is reached, this authority is granted to the court, which determines the amount of child support based on a reasonable and fair assessment and within the limits of what is necessary for the normal maintenance and upbringing of the child. In determining the amount, the court takes into account the actual material circumstances of both the parents and the child. The law does not require that a child support agreement be concluded in written form as a mandatory condition for parental mutual consent. Because of this, in various situations (divorce, living separately, etc.), parents often reach verbal agreements regarding child maintenance and, when necessary, the sharing of additional expenses. Therefore, a logical question arises: what legal effect does such an agreement have when there is no obligation to formalize it in writing and, more importantly, when no effective enforcement mechanism exists—an issue clearly illustrated by the practice of enforcing court judgments?

Nonetheless, it must be noted that an enforcement mechanism does exist, but only when the parties reach a settlement during court proceedings at any stage of the case. In such instances, the settlement is confirmed by the court in accordance with procedural rules, and an enforcement writ is issued. Consequently, for the purpose of resolving this issue in an undisputed manner (without initiating litigation), we consider it necessary that the matter of child support agreements be regulated at the legislative level to eliminate the existing gap. Such regulation would allow the parties to determine not only the amount of child support but also other conditions related to maintenance, which would not only ensure the proper upbringing and support of minors but also enable parents to maintain, in a civilized manner, the kind of relationship that existed—or should exist—independent of the child support obligation.

Although the Code on the Rights of the Child has been adopted—whose fundamental purpose is the protection of the best interests and welfare of the child through effective implementation of the Constitution of Georgia, the Convention on the Rights of the Child, its optional protocols, and other international legal acts recognized by the state—unfortunately, this Code has still not addressed the issue in such a way that child maintenance through parental agreements becomes an effective mechanism. Yet the Code states that every child has the right to a standard of living adequate for their physical, mental, spiritual, moral, and social development. An adequate standard of living includes, at minimum, access to food, clean drinking water, an environmentally safe living environment, and a healthy lifestyle—all of which are inconceivable without material support from parents.

The law does provide that, when necessary and within available resources, the state is obligated to offer parents targeted material and non-material assistance aimed at supporting the child's development, including programs ensuring access to food, clothing, and housing. However, child support—as a form of material support from parents—not only ensures a minimum level of subsistence; it must also ensure the standard of living that the child would have enjoyed under normal parental relations and upbringing within the family.

Thus, we believe that the introduction of a mandatory written form for child support agreements is the best way to regulate this matter. Such a requirement would allow parents, through free mutual agreement, to determine not only the amount of child support but also the payment schedule, method of payment, conditions for modifying the agreement, and even the forms of liability for non-performance (non-payment of child support).

ლიზინგი სამოქალაქო-სამართლებრივ და საგადასახადო ჭრილში (შედარებით-სამართლებრივი კვლევა)

ია ხარაზი, სამართლის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიისა და სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ნანა შონია, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის განვითარებას ეტაპობრივად მიჰყვება ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება. სამეწარმეო ურთიერთობების მთავარ მიღწევას წარმოადგენს საწარმოთა სწრაფი და ეფექტური მოდერნიზაცია, რომელშიც დიდი წვლილი ლიზინგზე მოდის.

ლიზინგი ატიპური ხელშეკრულებაა, რომელზეც ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ასევე საგადასახადო რეგულირების მექანიზმები. მოგეხსენებათ, საქართველოს ეკონომიკა საჭიროებდა მნიშვნელოვან რეაბილიტაციასა და განახლებას. ამ მიმართულებით ლიზინგმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა. საქართველოში ლიზინგმა ინოვაციები შემოიტანა, თუმცა საკმარისად მაინც ვერ განვითარდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ არსებული საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფა, გაუმართაობა და მასში გაურკვეველი შინაარსის ნორმების არსებობა. აგრეთვე, დაბეგვრის მაღალი სტანდარტები, რაც ხელს უშლის სალიზინგო კომპანიებს განვითარებაში. სახელმწიფო ვალდებულია საკანონმდებლო ბაზის დახვეწის მეშვეობით დაეხმაროს კომპანიებს, მისცეს მათ ბიძგი სალიზინგო ბაზრის განვითარებისათვის.

ლიზინგი იმდენად მრავლისმომცემი და ღრმა ინსტიტუტია, რომ საჭიროებს დეტალურ მოწესრიგებას. სახელმწიფო და მისი საგადასახადო პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ბიზნესის რეალიზებას. საქართველოში ლიზინგით ბანკები არიან დაკავებულნი, რომლებიც სალიზინგო კომპანიებს აფუძნებენ. ეს თავისთავად აბრკოლებს სალიზინგო ბიზნესის განვითარებას.

ვა ვითარებთ მოსაზრებას, რომ სალიზინგო ბიზნესი არის თავისუფალი ბიზნესი და არ შეიძლება მისი სტანდარტებში მოქცევა. მხოლოდ რამოდენიმე მუხლის დათმობა ვერ გადაჭრის პრობლემას. იმისთვის რომ ლიზინგმა რეალიზება მოახდინოს, მას სჭირდება წახალისება, კანონმდებლობის დახვეწის ხარჯზე. ამის შემდეგ, შესაძლებლობა გვექნება დავინახოთ სწრაფი ტემპებით განვითარებული ეკონომიკა. სალიზინგო ურთიერთობების დახმარებით განვითარდება ისეთი სექტორები, როგორცაა სოფლის მეურნეობა, მედიცინა და ა.შ. ლიზინგი არის ფულადი სახსრების მოზიდვის, დასაქმების ხელშეწყობის, განვითარებისა და პროგრესის უალტერნატივო, ეფექტური გზა.

Leasing in the Civil-Law and Tax Context (A Comparative Legal Study)

Ia Kharazi, Doctor of Law, Associate Professor at the Faculty of
Diplomacy and Law, Sokhumi State University
Nana Shonia Professor, Akaki Tsereteli State University

The development of scientific and technical progress is gradually followed by the advancement of economic relations. One of the main achievements of entrepreneurial relations is the rapid and efficient modernization of enterprises, to which leasing contributes significantly.

Leasing is an atypical contract that is subject to both civil and tax regulation mechanisms. As is well known, the Georgian economy has required substantial rehabilitation and renewal. In this regard, leasing has taken certain steps forward. Leasing has introduced innovations in Georgia; however, it has still not developed sufficiently. One of the reasons for this may be the imperfection and inefficiency of the existing legislative framework, as well as the presence of ambiguously formulated norms within it. Additionally, the high standards of taxation hinder the development of leasing companies. The state is obliged, through the improvement of the legislative framework, to support companies and give them the necessary impetus for the development of the leasing market.

Leasing is such a broad and profound institution that it requires detailed regulation. The state and its tax policy should facilitate business implementation. In Georgia, leasing activities are mainly carried out by banks, which establish leasing companies. This, in turn, hampers the independent development of the leasing business.

We maintain the view that the leasing business is a free business and should not be restricted within rigid standards. Amending just a few provisions cannot solve the problem. For leasing to be effectively realized, it requires encouragement through legislative refinement. After this, it will be possible to witness a rapidly developing economy. Through leasing relations, sectors such as agriculture, medicine, and others will develop. Leasing is an unparalleled and effective means of attracting financial resources, promoting employment, development, and progress.

საკუთრების უფლების შეზღუდვის ფარგლები საჯარო და კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართებაში

თამარ ჩიტომჭილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს სამართლის სკოლის პროფესორი

სამართლის სუბიექტები, განსაკუთრებით ფიზიკური პირები მუდმივად იმყოფებიან კერძო სამართლის ფარგლებში და მისი გავლენის ქვეშ ექცევიან, რამეთუ, ყოველდღიურად არსებობს ფიზიკური პირის შეხება სახელშეკრულებო, სანივთო, ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებთან. დებენ და ასრულებენ ხელშეკრულებებს. უხდებთ ვალდებულების დარღვევა და უწყვეტ ზიანის ანაზღაურება. დგებიან სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაშე და ა. შ. თუმცა, არანაკლებ ექცევიან საჯაროსამართლებრივი ნორმების ზეგავლენის ქვეშ. კერძო და საჯარო სამართლის ნორმები განყენებულად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ არსებობენ და მათი გადაკვეთა ყოველდღიურ ყოფაში მუდმივად არსებობს. ამიტომაც, ბევრი საერთოა და ხშირად რთულიცაა მათი გამიჯვნა. ეს სირთულე „განსხვავებული თეორიების წარმოშობის საფუძველი გახდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ინტერესების თეორია“, რომლის მიხედვით გადაწყვეტია თუ ვისი ინტერესებია უფრო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული, კერძო პირთა თუ საჯარო პირთა“.¹

კერძო სამართლის საფუძველზე კერძო პირთა ინტერესების დაცვა საჯარო ინტერესების დაცვასაც გულისხმობს და პირიქით. საჯარო კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაციით ასევე ხდება კერძო პირთა ინტერესების დაცვა. თუმცა, საჯარო კანონმდებლობით კერძო სამართლის ზოგადი ტერმინებისა და განმარტებების არასწორად გამოყენებამ, ან საერთოდ უარყოფამ შეიძლება გამოიწვიოს კერძო პირთა ინტერესების დარღვევა, ქონებრივი უფლებებისა და ზოგადად მესაკუთრის უფლებების უარყოფა.

განსაკუთრებით ეს ეხება კერძო სამართალში მოცემულ ტერმინებს, ცნებებს (ქონება, ნივთები, სამეზობლო ურთიერთობები, მიჯნები და ა. შ.). შეზღუდვა შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი კეთილსინდისიერების ფარგლებში. როცა მესაკუთრის ინტერესების შეზღუდვა საკუთარი ქონებით სარგებლობასა და გამოყენებაში ხდება არასამართლებრივად, ანუ ფაქტობრივად ადგილი აქვს საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლას.

ნორმატიული აქტებისა და ტერმინების არასწორად აღქმა და გამოყენების პრაქტიკა ხშირად ეჭვის ქვეშაა კი აყენებს სახელმწიფო ორგანოების, შესაბამისი სტრუქტურების მიერ შემუშავებულ პროექტებს, რომელთა რეალიზაცია და განხორციელება ვფიქრობ უპირობოდ უნდა ხდებოდეს. სახელმწიფოს მიერ ნდობით აღჭურვილი, ლიცენზირებული უწყების მიერ შედგენილი პროექტის შესრულებას ხშირად მოქალაქე/მოქალაქეები ეწინააღმდეგებიან და ამით, სუბიექტური და არაობიექტური დასაბუთებით, პროექტის აღსრულების შეჩერებაც კი ხდება. პრაქტიკის შესწავლით ეს გარემოება არც თუ ისე იშვიათად ხდება. ამით მოქალაქეთა ერთი ნაწილის პრეტენზია, თითქოსდა საკუთრების უფლების დაცვის მიზნით, სხვა მესაკუთრეთა უფლებების შეზღუდვას იწვევს. ასეთი დამოკიდებულებით, ანუ ერთი, ან თუნდაც რამოდენიმე პირის დაუსაბუთებელი (აგრესიული) მოთხოვნითა და წინააღმდეგობით, შეჩერდეს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება, ეჭვის ქვეშ აყენებს პროექტის უვნებელ ხასიათს და თავად კომპეტენტური უწყებისადმი ჩნდება უნდობლობა, რომ შეადგინოს პროექტი

¹ ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა „სამართალი“, 2011. 9.

ყველა მოქალაქის, მესაკუთრის ინტერესების გათვალისწინებით, რათა არ მიადგეს მათ ქონებას რაიმე ზიანი.

საკითხის პრაქტიკაში შესწავლის საფუძველზე (უწყების მიერ გაკეთებული განმარტების მიხედვით) გამოიკვეთა ისეთი შემთხვევები, როცა თუ ერთი პირიც იქნება წინააღმდეგი, არ შესრულდება დამტკიცებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები.² აღნიშნულს არ შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი გამართლება, რადგან ასეთი მიდგომით დაკნინებულია სახელმწიფო, ან სახელმწიფოსაგან დელეგირებული უწყებები. ამით ექვის ქვეშ დგება იმ საქმიანობის სამართლიანობა, რასაც ისინი ახორციელებენ. ასეთი შეფასების საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ როდესაც პროექტი კეთდება ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად, ყოველთვის შედეგზეა გათვლილი. პროექტის ავტორის მიერ, ხდება ყველა გარემოების გათვალისწინება და შესწავლა, მათ შორის სივრცითი მოწყობის, მოქალაქეთა და ზოგადად საზოგადოების ინტერესებისა და მესაკუთრეთა საკუთრების უფლებისა. მხოლოდ ამის შემდეგ წყდება პროექტის დასაშვებობის საკითხი. რომ ეს პროექტი, არც კერძო და არც საჯარო ინტერესებს არ არღვევს.

საჯარო კანონმდებლობაში გამოყენებული განმარტებები თემატიკისა და უფლებათა რეგულირების თვალსაზრისით ხშირად ეფუძვნება კერძოსამართლებრივი კანონმდებლობით გაკეთებულ განმარტებებს.

მაგალითად: „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის“ კოდექსში (2018 20 ივლისი) გამოყენებული ტერმინები: გრუნტი, შენობა-ნაგებობა, კონსტრუქცია, და ა. შ., რომელიც კერძო სამართალში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი) მოცემულ ნივთებს (მოძრავი, უძრავი) შესაბამისად მის ცნებებსა და განმარტებებს უკავშირდება. ბუნებრივია აღნიშნულ და სხვა ტერმინების მნიშვნელობა ერთნაირად განიმარტება როგორც კერძო სამართლებრივ, ისე საჯაროსამართლებრივ სივრცეში და მათ სხვადასხვა მნიშვნელობები არ უნდა მიეცეთ. ასევე, კანონში მოცემულ განმარტებას უნდა შეესაბამებოდეს კანონქვემდებარე აქტში მოცემული იგივე ტერმინთა განმარტება. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება კერძო პირთა, როგორც მესაკუთრეთა, უფლებების დარღვევას.

არასწორი განმარტებების საფუძველზე შეიძლება საფრთხის შემცველ ნივთად/ქონებად იქნეს მიჩნეული ნებისმიერ კონსტრუქცია, რომელიც არ არის უძრავი ქონების შემადგენელი ნაწილი, არ საჭიროებს მონტაჟს, ჩაშენებას, საყოფაცხოვრებო ქსელებთან (წყალი, ბ/აირი, დენი) მიერთებას და ა. შ. ასეთი კონსტრუქციების (მაგ: სათადარიგო წყლის ავზი) მოთავსება მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებულ შენობაში, შენობაზე, ეზოში და ა. შ. რომელიც არ არის საფრთხის წყარო არც მესაკუთრისათვის და არც სხვა მესაკუთრეთა უფლებებს უქმნის საფრთხეს, არ ზღუდავს სხვა მესაკუთრეთა მიერ საკუთარი ქონებით სარგებლობის შესაძლებლობას, არ უნდა აღიქმებოდეს საფრთხის შემცველ ნივთად და არ უნდა საჭიროებდეს სპეციალურ ნებართვას. აღნიშნული ნებართვის აუცილებლობაზე თუ საკანონმდებლო დათქმები არ არსებობს, ასეთი კონსტრუქციების მოწყობა არ შეიძლება მოქალაქეთა (მეზობელთა) ნებართვებს ემყარებოდეს და მათი დაუსაბუთებელი მოთხოვნის საფუძველზე უპირობოდ ხდებოდეს ამ ნივთით სარგებლობის აკრძალვა. ამით ადგილი აქვს მესაკუთრეთათვის თავის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობაში ხელშეშლას და შეზღუდულია საკუთრების უფლება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მოხდეს რიგი კანონმდებლობის გადახედვა გარკვეული ცვლილებებისა და სამართლებრივად სწორი კომენტარების გათვალისწინებით.³

² იგულისხმება ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის მიერ შედგენილი ინდივიდუალური პროექტები მომხმარებლისათვის საჭირო წყლის გაყვანილობასთან დაკავშირებით.

³ იგულისხმება კანონმდებლობა წყალმომარაგებისა და სამშენებლო სფეროში.

Scope of restrictions on property rights in relation to public and private legal relations.

Tamar Chitoshvili Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Associate Professor, Iakob Gogebashvili Telavi State University; Professor, Georgian International University, School of Law

The subjects of law, especially individuals, are constantly within the framework of private law. Every day, an individual comes across the contractual, property and obligatory legal relations; they conclude and execute contracts. However, they are no less influenced by public law norms. Private and public law norms do not exist independently of each other. On the basis of private law, protecting the interests of individuals also implies the protecting public interests, and vice versa

Definitions used in public legislation, in terms of subject matter and regulation of rights, are often based on definitions made under private law.

For example, the terms: ground, building, structure, items (movable, immovable), naturally, the meaning of these terms is interpreted in the same way in both private and public legal space and they should not be given different meanings.

According to the public law, the incorrect application of general terms and definitions of private law can lead to a violation of the interests of private persons as well as owners.

The incorrect perception and practice of using the terms given in normative acts often casts doubt even on projects developed by state bodies, which I believe should be implemented unconditionally.

Citizens often oppose the implementation of a project developed by state institutions, and the execution of such project is even suspended based on their subjective justifications. Based on the practical study of the issue, the cases have also been revealed where even if a single person objects, the works envisaged by the approved project are not carried out. As a result, the claims of one part of citizens, allegedly made for the purpose of protecting property rights, lead to the restriction of the rights of other owners.

This approach undermines the state institutions and results in the loss of legal trust.

The basis for this is often misinterpretation of special legal norms and terms, which requires revision.

გადასახადები და უფლებები

არჩილ ლორია სამართლის დოქტორი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველოს სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი
ელ. ფოსტა: archilioria@gmail.com

ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში მიმდინარე განვითარების პროცესი და, განსაკუთრებით, სერიოზული ეკონომიკური ზრდა იძლევა შესაძლებლობას უფრო ლიბერალური გაცხადით საგადასახადო პოლიტიკაც.

2010 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსით დადგინდა იმ დროისთვის ახალი რეგულაციები. კერძოდ, მე-6 მუხლით განისაზღვრა გადასახადის სახეები: ა) საშემოსავლო გადასახადი; ბ) მოგების გადასახადი; გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ); დ) აქციზი; ე) იმპორტის გადასახადი. ხოლო ადგილობრივი გადასახადის სახედ დადგინდა ქონების გადასახადი. ხოლო 201-ე მუხლის 1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გადასახადის გადამხდელია ფიზიკური პირი, დაბეგვრის ობიექტი კი მთელი მისი უძრავი და მოძრავი ქონება და სხვა აქტივები. ამავე აქტით დადგინდა გადასახადისგან გათავისუფლების ცალკეული პირობებიც. მაგალითად, 206-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გადასახადისაგან გათავისუფლებულია ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს;

ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-16 პუნქტში მოცემული განმარტებით კი ოჯახი არის – პირი, მისი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე პირთან მუდმივად მცხოვრები მშობელი, შვილი და გერი, და, ძმა, ბებია, პაპა, შვილიშვილი, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან. ამ კოდექსის მიზნებისათვის თავად გადასახადის გადამხდელი უპირობოდ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს (ზემოაღნიშნულ პირთაგან), რომლებიც მასთან ერთად მუდმივად ცხოვრობენ და საერთო მეურნეობას ეწევიან.

ვფიქრობთ, ასეთი მოთხოვნები დღეისათვის მთლად სამართლიანად ვერ გამოიყურება. საქმე ისაა, რომ კოდექსში სპეციალური მითითების ან დათქმის არ არსებობის პირობებში უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო საოჯახო შემოსავლის 40 000 ლარზე გადაჭარბების შემთხვევაში ქონების გადასახადის გადახდა მოუწევს ოჯახის ყველა წევრს, რაც ოჯახისთვის სერიოზული ფინანსური წნეხი იქნება.

ამასთან, 2010 წლის შემდეგ ქვეყანაში მოხდა რიგი ცვლილებები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გადასახადების განსაზღვრისას. კერძოდ, 2010 წელს ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1.7 – 1.89 ერთეულებს შორის მერყეობდა. 2025 წელს კი 2.7 – 2.8 ერთეულებს შორის იცვლებოდა (ანუ კურსი 1.5 ჯერ დაეცა).

<https://www.lari.ge/index.php?do=currency%2Fchart&code=USD&currDate=17.06.2010> ასეთი სხვაობა კი ქართული ფულის ერთეულის მსყიდველუნარიანობის სერიოზულ დაქვეითებაზე მიანიშნებს, რაც აისახებოდა კიდევ მოსახლეობის ცხოვრების ეკონომიკურ დონეზე.

2010 წლის იანვრის მდგომარეობით შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი შეადგენდა 128 ლარს. 2024 წლისთვის კი ეს მაჩვენებლები 2-ჯერ გაიზარდა და სულზე 262.4 ლარი შეადგინა. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/791/saarsebo-minimumi> შესაბამისად, გაიზარდა საშუალო შემოსავლების ოდენობაც. კერძოდ, 2010 წელს საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 597.6 ლარს, ხოლო 2024 წელს - 1970.8 ლარს (ანუ სულ ცოტა 3-ჯერ გაიზარდა). <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>

ოჯახის წლიურმა შემოსავალმა 40000 ლარს რომ გადააჭარბოს, თვეში დაახლოებით 3300 ლარს უნდა შეადგენდეს. 2010 წელს არსებული საშუალო ხელფასის პირობებში ოჯახის სულ ცოტა 5 წევრი მიანც უნდა ყოფილიყო დასაქმებული კოდექსით განსაზღვრული თანხისთვის რომ გადაეჭარბებია. დღეისათვის კი 2 წევრის ხელფასიც საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს. როგორც ვხედავთ, ლარის მსყიდველუნარიანობა ერთობ არის დაწეული. თუ 2010 წელს 3300 ლარი საკმაოდ მაღალ ყოველთვიურ ანაზღაურებას წარმოადგენდა, დღეს იგი დაახლოებით 1.6 ჯერ აღემატება საშუალო თვიურ შემოსავალს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული თანხა 40000 ლარი უნდა შეიცვალოს 65000 ლარით. ხოლო ქონების გადასახადით დაბეგვრას ფიზიკური პირი დაექვემდებაროს ინდივიდუალურად თუ მისი წლიური შემოსავალი გადააჭარბებს 65000 ლარს და არა მთელი ოჯახი, მით უმეტეს, რომ კოდექსის მე-8 მუხლის მე-16 პუნქტით გადასახადის გადამხდელი უპირობოდ თავად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს (ზემოაღნიშნულ პირთაგან), რომლებიც მასთან ერთად მუდმივად ცხოვრობენ და საერთო მეურნეობას ეწევიან. მან კი შეიძლება არცერთი მათგანი არ დაასახელოს.

206-ე მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი გადასახადისგან თავისუფლდება 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

ამ ნორმაში რაიმე თარიღზე მითითება გამართლებული არ არის, რადგან ქონებაზე უფლების წარმოშობის დრო ვერ ცვლის საკუთრების უფლების არსს, იწვევს მესაკუთრეთა დისკრიმინაციას ქონებაზე უფლების წარმოშობის თარიღის მიხედვით და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 და მე-19 მუხლებით დადგენილ თანასწორობისა და საკუთრების უფლების უზრუნველყოფის პრინციპებს. ამდენად, საჭიროა ამ ნორმიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით“.

დასკვნა

აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები, კერძოდ:

206-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ა) ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება, თუ ამ პირის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 65 000 ლარს; „

ხოლო 206-ე მუხლის 1 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.“

ასეთი ცვლილებები გამოიწვევს ადგილობრივი გადასახადების ხაზით შემოსავლების გარკვეულწილად შემცირებას, მაგრამ დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და სამართლიანობის დამკვიდრების გზით გააძლიერებს მოსახლეობის ხელისუფლებისადმი ნდობას და კანონმდებლობისადმი პატივისცემას. ეს კი, თავის მხრივ, მინიმუმამდე დაიყვანს ფიზიკური პირების დაინტერესებას დამალონ რეალური შემოსავლები, რაც ხელს შეუწყობს საშემოსავლო გადასახადის სახით ცენტრალურ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას.

საკვანძო სიტყვები: გადასახადი, დაბეგვრა, ქონება, შემოსავალი, დისკრიმინაცია

Taxes and Rights

Archil Loria Doctor of Law, Professor at Tbilisi Humanitarian Teaching University, Member of the Union of Law Scientists of Georgia
archilioria@gmail.com

In recent years, the development process underway in our country—and, in particular, significant economic growth—has made it possible to pursue a more liberal tax policy.

The Tax Code adopted in 2010 introduced regulations that were new at the time. In particular, Article 6 defined the types of taxes as follows:

- (a) Income tax;
- (b) Profit tax;
- (c) Value-added tax (VAT);
- (d) Excise tax;
- (e) Import tax.

Property tax was established as a local tax. According to Article 201, paragraph 1, subparagraph "c", the taxpayer is an individual, while the object of taxation is all of his or her real and movable property and other assets. The same legislative act also established specific conditions for tax exemptions. For example, under Article 206(1)(a), the taxable property of a physical person (excluding land) is exempt from tax if the income received by that person's family during the calendar year preceding the current year does not exceed 40,000 GEL.

According to the definition provided in Article 8(16) of the same Code, a family consists of the person, their spouse, minor children and stepchildren, as well as parents, children and stepchildren permanently residing with the person, and siblings, grandparents, and grandchildren who conduct a joint household. For the purposes of this Code, the taxpayer unconditionally determines the circle of persons (from among those listed above) who permanently reside with them and run a joint household.

Moreover, since 2010 a number of changes have occurred in the country that should be taken into account when determining tax obligations. In 2010, the exchange rate of the Georgian lari against the US dollar fluctuated between 1.7 and 1.89. By 2025, it ranged between 2.7 and 2.8 (i.e., the lari depreciated by approximately 1.5 times).

<https://www.lari.ge/index.php?do=currency%2Fchart&code=USD&currDate=17.06.2010> This difference indicates a significant decline in the purchasing power of the national currency, which has directly affected the economic standard of living of the population.

As of January 2010, the minimum living wage for an able-bodied male was 128 GEL. By 2024, this figure had doubled and reached 262.4 GEL per person. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/791/saarsebo-minimumi>. Accordingly, average income levels have also increased. In particular, the average monthly salary in 2010 was 597.6 GEL, while in 2024 it reached 1,970.8 GEL—an increase of at least threefold. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>

For a family's annual income to exceed 40,000 GEL, the monthly income must be approximately 3,300 GEL. Under the average salary conditions of 2010, at least five family members would have had to be employed for the family to exceed the threshold set by the Code. Today, however, the salaries of just two family members may be sufficient. As we can see, the purchasing power of the lari has declined considerably. Whereas in 2010 a monthly income of 3,300 GEL represented a very high level of remuneration, today it exceeds the average monthly income by only about 1.6 times.

Taking into account all of the above, the amount of 40,000 GEL specified in Article 206(1)(a) of the Tax Code should be replaced with 65,000 GEL. Furthermore, a physical person should be subject to property tax on an individual basis if their annual income exceeds 65,000 GEL, rather than

the tax being imposed on the entire family—especially given that, under Article 8(16) of the Code, the taxpayer independently determines which persons permanently reside with them and conduct a joint household, and may choose not to designate any such persons at all.

According to Article 206(1)(t), agricultural land plots of up to 5 hectares owned by a physical person as of 1 March 2004 are exempt from taxation.

Reference to a specific date in this provision is unjustified, as the time at which property rights arise does not alter the essence of ownership. Such a restriction results in discrimination among owners based on the date of acquisition of property and contradicts the principles of equality and protection of property rights enshrined in Articles 11 and 19 of the Constitution of Georgia. Accordingly, the words “as of 1 March 2004” should be removed from this provision.

Conclusion

Based on the above analysis, we consider it appropriate to introduce certain amendments to the Tax Code of Georgia, namely:

Article 206(1)(a) should be revised as follows:

“1. Depending on the relevant object of taxation, the following shall be exempt from property tax:

(a) the taxable property of a physical person, if the income received by that person during the calendar year preceding the current year does not exceed 65,000 GEL.”

Article 206(1)(t) should be revised as follows:

“(t) agricultural land plots of up to 5 hectares owned by a physical person.”

Such amendments will result in a certain reduction of revenues from local taxes; however, by eliminating discrimination and establishing fairness, they will strengthen public trust in government and respect for the law. This, in turn, will minimise the incentive for physical persons to conceal their real incomes, thereby contributing to increased revenues in the central budget in the form of personal income tax.

Keywords: tax, taxation, property, income, discrimination

საჯარო წესრიგი, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პროცესის შემზღვეველი სტანდარტი

მარიამ ლაჭავა სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი,
mariam.ghachava@yahoo.com

საჯარო წესრიგი წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ინსტიტუტს კერძო და საერთაშორისო კერძო სამართალში, რაც უზრუნველყოფს ჩვენ სამართლებრივ სივრცეში უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების გამოყენებისაგან შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ გამოიყენება ადგილობრივ და უცხოურ საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკაში, წარმოდგენილი ინსტიტუტი საჭიროებს ფუნდამენტური კვლევას. აღნიშნული ხაზს უსვამს იმ გარემოების მნიშვნელობას, რომ საქართველო სულ უფრო მძლავრად ერთვება იმ კერძო საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლებიც დატვირთულია უცხოური ელემენტით, რაც განპირობებულია ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალური ფაქტორებით. საჯარო წესრიგი საერთაშორისო კერძო სამართალში არსებული პრობლემური საკითხების მოგვარების ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტია, თუმცა მისი ზუსტი დეფინიცია კი არ არსებობს. სწორედ ამ თვალსაზრისით, ნაშრომში განიხილება საჯარო წესრიგის კოლიზიურ-სამართლებრივი ბუნება და საჯარო წესრიგის როლი სასამართლო სამართალწარმოებაში.

საერთაშორისო არბიტრაჟი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებად დიდი ხანია გამოიყენება. არბიტრაჟის, როგორც მხარეთა შორის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების, როლი და მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ყოველთვის თანხმდებიან, რომ სახელმწიფოს ჩარევა მათ ურთიერთობებში, როგორც კეთილგანწყობილიც არ უნდა იყოს ეს ჩარევა, მათ შორის არსებული დავის გადაწყვეტის თვალსაზრისით, ვერ გამოიღებს ისეთ შედეგს, როგორსაც მათ მიერ რეგულირების ალტერნატიული საშუალებებისადმი მიმართვა .

საარბიტრაჟო პროცესი ტარდება ბევრ სხვადასხვა ქვეყანაში. მასში მონაწილე მხარეები, იურისტები და არბიტრები შესაძლოა იყვნენ სხვადასხვა მოქალაქეობის მქონე. პროცესის დროს გასაოცრად მცირეა ფორმალურობა. საარბიტრაჟო მოსმენა არ ჰგავს სასამართლო პროცესს. არბიტრაჟი არ იცნობს მანდატურებს, მოსამართლის მანტიებს, შემადღებულ ადგილზე დამსხდარ მოსამართლეებს, არც ავტორიტეტზე მიმანიშნებელ რაიმე სიმბოლოს. დავების გადაწყვეტის საერთაშორისო არბიტრაჟის კერძო პროცედურით გადაწყვეტა ეფექტურია, რადგან ის გამყარებულია ეროვნული კანონმდებლობებისა და საერთაშორისო შეთანხმებების კომპლექსური საჯარო სისტემით. არსებობს ზოგადი ტენდენცია, რომელიც მიზნად ისახავს არბიტრაჟის, როგორც საერთაშორისო ბიზნეს დავების გადაწყვეტის საშუალებისათვის ხელის შეწყობასა და ნებისმიერი შემზღვეველი ფაქტორების ეროზიას, საჯარო წესრიგი კი არის ერთადერთი ელემენტი, რომლის არსებობისას შიდა, ეროვნული სასამართლოები მიდრეკილნი არიან გასცდნენ ჩარევის შეზღუდულ ფარგლებს, როცა საკითხი ეხება უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას. საჯარო წესრიგთან შესაბამისობა უნდა შეფასდეს აღსრულების ადგილის კანონმდებლობის მიხედვით. ეს არის დამცავი დებულება, რომელიც პრევენციულად ისახავს მიზნად აღსრულების თავიდან აცილებას, როცა შინაარსი აშკარად ეწინააღმდეგება ამ იურისდიქციის ძირითად პრინციპებს.

არბიტრაჟი დავის გადაწყვეტის არა ერთადერთ, არამედ ერთ-ერთ ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს. ყველა სხვა ალტერნატიული მეთოდისგან განსხვავებით, არბიტრაჟი, გადაწყვეტილების სავალდებულო ხასიათით გამოირჩევა. ასევე აღსანიშნავია, რომ დავების

მოგვარების სხვა ალტერნატიული მეთოდებისგან განსხვავებით საერთაშორისო არბიტრაჟი იყენებს მხოლოდ გადაწყვეტილებას, რომელიც ჩვეულებისამებრ, არ ექვემდებარება ეროვნულ სასამართლოში გასაჩივრებას და რომელიც შესაძლოა აღსრულდეს, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. საქართველოში არსებობს მანკიერი პრაქტიკა, როდესაც სასამართლოები გარკვეულ შემთხვევებში უხეშად ერევიან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მატერიალურ, შინაარსობრივ ნაწილში ცნობა-აღსრულების და გაუქმების ეტაპზე, საკუთარი ინიციატივით საზღვრავენ პირგასამტეხლოს ოდენობას, რითაც ახდენენ ინტერვენციას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების და მხარეთა შეთანხმების შინაარსში, რაც ცალსახად დამანგრეველია არბიტრაჟის საქართველოში დამოუკიდებლობისთვის და სათანადოდ განვითარებისთვის. ამდენად, დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ, ეროვნული სასამართლოს მიერ გამოყვებულ უნდა იქნეს მაქსიმალური სიფრთხილით, რომ არ დაირღვეს თავად საარბიტრაჟო სამართლის, საარბიტრაჟო შეთანხმების და უცხო ქვეყნის კერძო სამართლის გამოყენების პრინციპი, რაც ფუნდამენტურია ყველა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლისათვის.

საკვანძო სიტყვები: საჯარო წესრიგი, არბიტრაჟი, სასამართლო პრაქტიკა, გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.

Public Order as a Limiting Standard for the Recognition and Enforcement of Arbitration Awards

Mariam Ghachava Doctor of Law, Assistant Professor Central University of Europe, mariam.ghachava@yahoo.com

Public order is one of the fundamental institutions in private and international private law, which ensures the possibility of avoiding possible negative consequences from the application of foreign law norms in our legal space. Despite the fact that the reservation on public order is used in local and foreign legislative and judicial practice, the presented institution requires fundamental research. This emphasizes the importance of the circumstances that Georgia is increasingly involved in private international legal relations that are loaded with a foreign element, which is due to economic, technological and social factors. Public order is one of the powerful levers for resolving problematic issues in private international law, although its exact definition does not even exist. It is from this perspective that the paper discusses the conflict-of-law nature of public policy and the role of public policy in judicial proceedings.

International arbitration has long been used as a means of alternative dispute resolution. The role and importance of arbitration as an alternative means of dispute resolution between parties is gradually increasing. Participants in private legal relations always agree that state intervention in their relations, no matter how benevolent this intervention may be, in terms of resolving the dispute between them, will not produce the same result as their recourse to alternative means of regulation.

Arbitration proceedings are held in many different countries. The parties, lawyers and arbitrators participating in it may be of different citizenships. There is surprisingly little formality during the proceedings. An arbitration hearing is not like a court trial. Arbitration does not recognize bailiffs, judges' robes, elevated judges, or any other symbol of authority. The private procedure for resolving disputes through international arbitration is effective because it is supported by a complex public system of national laws and international agreements. There is a general tendency to promote arbitration as a means of resolving international business disputes and to erode any restrictive factors,

and public policy is the only element in the presence of which domestic, national courts tend to go beyond the limited scope of intervention when it comes to the recognition and enforcement of foreign arbitral awards. Compliance with public policy must be assessed in accordance with the law of the place of enforcement. It is a protective provision that aims to prevent enforcement when the content is clearly contrary to the fundamental principles of that jurisdiction.

